cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 ივლისი, 2015 წელი.

№121 (7766)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ხალხის აზრი კარგა ხანია, გარკვეულია – დავით აღმაშენებლის ძეგლი ძველ სამყოფელს უნდა დაუბრუნდეს!

სამი წელიწადია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთმნიშვნელოვნად, დაჟინებით წერს, რომ ქართველ მიქელანჯელოდ აღიარებული დიდი მოქანდაკისა და მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის ძეგლი-შედევრი „დავით აღმაშენებელი“ რესპუბლიკის მოედანზე, სასტუმრო „ივერიის“ წინ უნდა დაბრუნდეს...

ძეგლების შემმუსვრელმა და უადგილო ადგილას გადამტანმა არამზადა მ. სააკაშვილმა, თითოეული გონიერი თბილისელის უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, „დავით აღმაშენებელი“ ქალაქის ცენტრიდან გააძევა და დიღმის ტრასაზე, ხალხისთვის მიუწვდომელ გზაჯვარედინზე დადგა. ავტოტრანსპორტის გაბმული მოძრაობისა და მომწამვლელი გამონაბოლქვის გამო, არავის ძალუძს მეფის ძეგლისთვის პატივის მიგება.

ნაციონალების უგუნურების გვირგვინი იყო მერაბ ბერძენიშვილის მეორე შედევრის „დიდების მემორიალის“ პირწმინდად განადგურება ქუთაისში...

ქართული ინტელიგენციის დიდმა „შტაბმა“, მინიმუმ 60-მა კაცმა შარშან, დეკემბრის ერთ მშვენიერ დღეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა, რომელშიც კიდევ ერთხელ სთხოვდნენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა, გონიერ და პრინციპულ ლიდერს „დავით აღმაშენებლის“ ძეგლის ქალაქის ცენტრში დაბრუნებას. იმავე მოთხოვნით პრემიერს, რამდენიმე დღის შემდეგ, ქართველმა გენერლებმაც (სულ 18-მა კაცმა) მიმართეს. რიგითი მოქალაქეებისა და გაზეთის მკითხველების თხოვნას ხომ თვლა არა აქვს...

ასე რომ, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ბოლოდროინდელი განცხადება სრულიად დროის შესაბამისი (თუმცაღა დაგვიანებული!) იყო: **„დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრში უნდა დაბრუნდეს. სააკაშვილმა ყოვლად უზნეო საქციელი ჩაიდინა, როცა ჩვენი უდიდესი და წმინდა მეფის ძეგლს შეეხო“.**

პრემიერი თვლის, რომ, თბილისის მერიამ და საკრებულომ მერაბ ბერძენიშვილის ძეგლის ქალაქის ცენტრში დაბრუნების საკითხი უნდა განიხილონ, სპეციალისტები მოიწვიონ, საჯარო დისკუსია მოაწყონ და მასში საზოგადოება ჩართონ“...

იხ. 2 გვ.

რატომ ცეკვავს ირაკლი აბესაძე ნაციონალებთან სამაიას? 3

ქალაქის დაგეგმარება – სპეციალისტების გვერდის ავლით 6

მეცნიერული მიღწევების უგულებელყოფას ქვეყანა ნგრევამდე მიჰყავს

მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ჰომოფობი! 3

თეთრი სახლის ცისფერი პარასკევი – 4

დემო(ტ)რაკიის დიადი გამარჯვება

◎ ალიან-ჩალიანი

ირაკლი ღარიბაშვილი ინდონეზიის პრეზიდენტს უსამძიმრებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოკო ვიდოდოს სამხედრო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა გამო სამძიმარს უცხადებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილი სამძიმრის წერილს ავრცელებს, რომელშიც ინდონეზიის მთავრობას და დაღუპულთა ოჯახებს საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით უსამძიმრებს.

„უდიდესი მწუხარებით შევიტყვეთ ინდონეზიაში, მედანში სამხედრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის ამბავი. მინდა, საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს, ინდონეზიის მთავრობასა და ხალხს. ამ მძიმე წუთებში, ჩვენ ვდგავართ მეგობარი ინდონეზიელი ხალხის გვერდით და თანავუგრძნობთ ოჯახებს, რომლებმაც საყვარელი ადამიანები დაკარგეს. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი უღრმესი სამძიმარი და გულწრფელი თანადგომა“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის სამძიმრის წერილში.

გუგული მაღრაძე „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ ევროსაბჭოში საპარლამენტო დელეგაციის მუშაობის გაშუქებას ითხოვს

ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება მაღრაძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დააფიქსირა.

„ერთ-ერთ გაზეთში პარლამენტის გარეთ მყოფმა ოპოზიციონერმა აღნიშნა, რომ საპარლამენტო დელეგაციის წევრებს არ იცნობენ, არ საქმიანობენ და ასე შემდეგ. მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენი დელეგაციის წევრები საკმაოდ კარგადაც მუშაობენ და საკმაოდაც იცნობენ. თუკი არ გიცნობენ, ისე არ დაგასახელებენ. მაგალითად მე, წინა სესიაზე გენდერული თანასწორობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გავხდი. ასევე პარლამენტის სხვა წევრები სხვადასხვა თანამდებობებზე არიან არჩეული. ასე რომ, როცა იქ 520 დეპუტატია და საქართველოს პარლამენტის დელეგაციიდან საპასუხისმგებლო პოსტებზე არიან არჩეული, ეს იმას ნიშნავს, რომ იცნობენ, აფასებენ. ეს იმის ბრალია, რომ თუ კერძო ტელევიზიებს ვერ მივმართავთ, „პირველმა არხმა“ სათანადოდ უნდა გააშუქოს არა მხოლოდ ის კინკლაობები, რაც იქ შეიძლება მოხდეს, არამედ ის, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ კომიტეტებში და როგორ ვმუშაობთ. 20-მდე გამოსვლა მაქვს საპარლამენტო სესიაზე, რაც არასდროს არ ასახულა. პარლამენტის წევრების მიმართ რომ არ იყოს მსგავსი ბრალდებები, „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“, რომელსაც ჩვენ საკმაო თანხებს ვაძლევთ, მოვითხოვ სათანადოდ ასახოს პარლამენტის წევრების მუშაობა და ქვეყნის სასიკეთოდ მიმართული საქმიანობა. ტელევიზიები მხოლოდ სკანდალზე აგებული არ უნდა იყოს“, — განაცხადა მაღრაძემ სესიაზე.

რუსეთი საქართველოსთან შეთანხმების გაწყვეტას აპირებს

რუსეთი აპირებს საქართველოსთან შეთანხმების გაწყვეტას იმ პირების გადაცემის შესახებ, რომლებიც უკვე გასამართლებულები არიან, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და იხდიან სასჯელს. ამის შესახებ საუბარია რუსეთის სამართლებრივი ინფორმაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი რუსეთის პრეზიდენტს თხოვნით მიმართავს, შესაბამისი შეტყობინება ქართულ მხარეს გაუგზავნოს.

შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის 1996 წლის 19 მარტს გაფორმდა. შეთანხმების გაუქმების ინიციატივა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის, რომელსაც ასევე ეთანხმება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და უზენაესი სასამართლო.

რუსეთის მთავრობამ უკვე დაუჭირა მხარი დადგენილებას, რომლითაც პრეზიდენტს მიმართავს წინადადებით, ქართულ მხარეს აცნობოს.

„მე არ მგონია იმ რეალობის შემდეგ, რაც ჩვენ ამდენი წელია, გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან, ამ ხელშეკრულების გაუქმება უნდა გვიკვირდეს. მაშინ, როდესაც იდგმება გაცილებით უფრო საშიში ნაბიჯები ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის მისამართით, ამ ხელშეკრულების გაუქმება არ უნდა გვიკვირდეს. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო ფაქტია, ძალიან ცუდია, მაგრამ ეს ყველაფერი ჯდება იმ ერთიან პოზიციაში, რომელსაც რუსეთის ფედერაცია, სამწუხაროდ, ახორციელებს საქართველოსთან მიმართებაში“, — განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ფხალაძემ.

ხალხის აზრი კარგა ხანია, გარკვეულია — დავით აღმაშენებლის ძეგლი ძველ სამყოფელს უნდა დაუბრუნდეს!

(პირველი გვერდიდან)

რა თქმა უნდა, პრემიერის ეს განცხადება კარგია, რადგან სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!.. ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და ქალაქის მერს, ბატონ დავით ნარმანიას გულწრფელად ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ნაციონალების გადაშენებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, 2012 წლის ბოლოს, გამოვაქვეყნეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის ახალი პროექტი, რომელიც უნდა დადგმულიყო „რადისონ-ბლუ-ივერიის“ წინ. პროექტი რამდენიმე წლით ადრე შექმნა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ, რომელმაც მშვენიერი პროექტის გამომზეურება, გასაგები მიზეზების გამო დააგვიანა (ერთმმართველ სააკაშვილის ზეობისას მის გამოქვეყნებას რა აზრი ჰქონდა!).

გუშინ საგანგებოდ დავუკავშირდით ბატონ ვახტანგ დავითაიას, რომელმაც გულდინჯად, მშვიდად გვითხრა: ბატონი მერაბ ბერძენიშვილი დარწმუნებული იყო, რომ დამთავრდებოდა თუ არა ნაცისტების ავტორიტარიზმი, აუცილებლად აღდგებოდა სამართლიანობა. დიდ მოქანდაკეს, მთელ საქართველოსთან ერთად, წუთითაც არ დაუშვია, რომ დიღმის ტრასა აღმაშენებლის ბოლო ნავსაყუდელი იქნებოდა. ძეგლი რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს ძველ სამყოფელს! ამდენ ხანს მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ის გახლდათ, რომ წინა ხელისუფლებას „ივერიის“ წინა მოედანზე საბაგირო გზის ქვედა სადგურის მშენებლობა ჰქონდა გადაწყვეტილი, რასაც სპეციალისტების და რიგითი თბილისელების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ამჟამად ეს საკითხი გადაწყვეტილია — საბაგიროს ქვედა სადგური იქ არ აშენდება... საერთოდ კი, რესპუბლიკის მოედნის არეალში ბევრი რამ შეიცვალა: გაუქმდა შადრევანი, მოედნის დასავლეთით გაშენდა ერთსართულიანი ნაგებობა, ხოლო თაღების (ე. წ. „ანდროპოვის ყურების“) ადგილას — მინის სამსართულიანი, უსახური შენობა. ამის გამო აღმაშენებლის ძეგლმა სხვა ადგილი, კვარცხლბეკის სხვა პროპორციები და მასშტაბი მოითხოვა. პრემიერ-მინისტრის განცხადებამ ამ საკითხს ახალი იმპულსი მიანიჭა. **ის იქნება პირველი ფაქტი ზოგადად კულტურის სფეროში და კონკრეტულად დიდი ქართველი ხელოვნის, ჩვენი ახალგაზრდობისთვის სამაგალითო მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის მიმართ სამართლიანობის აღდგენისა.**

მერია რაც უფრო მალე, ოპერატიულად გადაწყვეტს ამ საკითხს, მით უკეთესი...

დღეს მკითხველს გაზეთის პირველ გვერდზე ვთავაზობთ ივერიის წინა მოედანზე დასაბრუნებელი დიდი მეფის ძეგლის ახალ პროექტს და კიდევ ერთხელ ვთხოვთ დედაქალაქის მერიას და საკრებულოს: არავითარი ბევრი მსჯელობა, კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხს არ სჭირდება. ყველაფერი კარგა ხანია, ხალხის მიერ არის გადაწყვეტილი, მერაბ ბერძენიშვილის „დავით აღმაშენებელი“ ძველ სამყოფელს უნდა დაუბრუნდეს!

სპარტაკ ქოგულია

◎ მივმართავ მთავრობას!

რაც გვინახავს, აღარ გვინდა ვნახოთ?!

30 ივნისს მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი სილაგავა და წისქვილ „თბილისისა“ და „ფოთი პურის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩარქსელიანი „რუსთავი-2“-ზე საუბრობდნენ, საქართველოში შეიზღუდოს ფქვილისა და ხორბლის იმპორტიო. მანამდე მათ აზერბაიჯანული „კარმენი“ არ ეპიტნავებოდათ და მონოპოლიაში ადანაშაულებდნენ. დღეს იმაზე სპეკულირება, რომ ხორბალს გლეხებიდან ვერ შეიძენ, იმიტომ რომ ვიღაცებს შემოაქვთ, სუფთა სპეკულირებაა. თუ მათ დაუჯერებენ, საქართველოში ფქვილი გაძვირდება. მათ კვლავ მონოპოლურ მდგომარეობაში სურთ ყოფნა და ქართული მცირე წისქვილები სულაც არ ადარდებთ. ერთი უპასუხონ საზოგადოებას, როგორ გაიყიდა გორის, კაჭრეთის, მარნეულის წისქვილები, კომბინატი „მზეკაბანი,“ როგორ გადაინაწილეს კვოტები, დაავიწყდათ? მცირე წისქვილები აღარ ადარდებთ.

მთავრობამ მეხორბლეებს დღგ გადაუვადა —წესიერ კონკურენციაში და ფასებში აჯობონ სხვას და არა აკრძალული მეთოდებით სხვას ხელი შეუშლონ და თვითონ ძველებურად იპარპაშონ. შეგახსენებთ, სულ ახლო წარსულში ასეთი უგუნური პოლიტიკის გამო ფქვილი 60 ლარი გახდა, უამრავი მცხობელი -მეწარმე გაკოტრდა და დაიქცა. თუ მთავრობაში მათ დაუჭერენ მხარს ქვეყანა და მისი ბელელი დაზარალდება, რად გვინდა ისეთი პური, თუ ფასს ვერ მივეკარეთ.

მურმან ჯოხაძე, ნოდარ სულუხია, გივი მოდებაძე, — მცირე წისქვილები.

◎ ადვალური გადასახადი

დღეიდან თამბაქოს ნაწარმზე ახალი გადასახადი შედის ძალაში

დღეიდან თამბაქოს ნაწარმზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) ახალი სახეობის ე.წ. ადვალური გადასახადი შედის ძალაში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, „საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილება 2015 წლის 1 ივლისიდან ითვალისწინებს თამბაქოს ნაწარმზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) დამატებით აქციზის დაწესებას — საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ოდენობით. საუბარია ე.წ.ადვალურ, ანუ გადასახადის იმ სახეობაზე, რომელიც შემოსავლის ან ღირებულების მიმართ პროცენტულ მაჩვენებელში დაფიქსირებულ გადასახადს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში იგულისხმება ერთ კოლოფ სიგარეტზე 5%-ის დარიცხვა.

„უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს ნაწარმთან მიმართებაში საქართველოში აქამდე მოქმედი დაბეგვრის სისტემა და საგადასახადო ტვირთის გადანაწილება დისპროპორციულია. მაგალითად, აქციზის ტვირთი იაფფასიან სიგარეტებზე დაახლოებით, 53.6 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც ძვირად ღირებულ ბრენდებზე, მაგალითად, „მალბოროზე“, დაახლოებით, 27.8 პროცენტია, „პარლამენტზე“ — 18.7 პროცენტი. ადგილობრივ წარმოებას არავითარი პრეფერენციები არა აქვს, პირიქით, არათანაბარი საგადასახადო ტვირთის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტებთან თანაბარ პირობებში ჩაყენება მართლზომიერია“, — განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

უწყების ინფორმაციით, 1 ივლისიდან აქციზის გადასახადის ე.წ.შერეული სისტემის დანერგვა ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს. „ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ადვალური ტიპის აქციზის გადასახადის ოდენობა დანიაში შეადგენს 1%-ს, შვედეთში — 1%-ს და ნიდერლანდებში 0,9%-ს, ხოლო სხვა დანარჩენ წევრ ქვეყნებში აღნიშნული ტიპის გადასახადის განაკვეთი მერყეობს 8%-დან 52 %-მდე. ამდენად, სიგარეტზე აქციზის გადასახადის პროპორციული კომპონენტის საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტით განსაზღვრა, შესაბამისობაშია ევროკავშირში არსებულ პრაქტიკასთან“, — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

◎ ᲥᲕᲔᲑᲣᲓᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲘᲐᲡ?

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲨᲘ ᲓᲚᲘᲣᲠᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲡ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲛᲐᲩᲣᲧᲔᲑᲔᲚᲡ (!). ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ. ᲓᲚᲘᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲒᲘ ᲠᲐᲚᲐᲪᲔᲑᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡᲝᲓᲐᲪ ᲓᲐᲬᲔᲠᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲡ ᲛᲝᲣᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲞᲘᲐᲠᲘᲡ ᲣᲖᲐᲓᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲬᲠᲔ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲓᲐᲮᲣᲭᲣᲚᲡ ᲔᲜᲓᲝᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲘ.

ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲘ, ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲘ, ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ 2012 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲐ, ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ: **„ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲤᲚᲐᲜᲒᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ“.**

„ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲚᲔᲑᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲔᲜ; ᲣᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲓ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲔᲜ; ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲩᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲝᲣᲨᲐᲕᲔ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲔᲜ; ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲜ�გᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲬᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲪᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲘᲐᲠᲣᲚᲔ, ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲔᲜ.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲡ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ, ᲛᲘᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲛᲝᲰᲧᲓᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲕᲘᲓᲔᲝᲒᲐᲓᲐᲮᲣᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲡ. **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲘ ᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲐᲠ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲧᲐᲠᲘ. ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ ᲗᲝᲚᲛᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲯᲒᲣᲤᲨᲘ „ᲡᲐᲛᲐᲘᲐᲡ“ ᲣᲪᲔᲙᲕᲘᲐ.**

ᲐᲮᲚᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲠᲒᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲠᲝᲚᲡ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲧᲓᲐᲠ ᲯᲐᲭᲕᲡ ᲐᲓᲣᲚᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ „ᲡᲐᲛᲐᲘᲐᲡᲐᲪ“ ᲘᲡᲔ ᲣᲜᲐᲙᲚᲝᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ ᲡᲐᲜᲓᲛᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲘᲜᲐᲮᲔᲡ, ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲡᲗᲝᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲝ. **ᲒᲘᲒᲘ ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛᲓᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ „ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ“ ᲖᲣᲠᲒᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲛᲔᲠᲡ ᲔᲓᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ, ᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ...** იქ მზადდებოდა დოკუმენტაცია და ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება, პრობლემური იყოს, სწორედ ირაკლი აბესაძის ხელიდან გამოდიოდა. „მარშუტკების“ სატენდერო პირობები, სითი-პარკი, რიყის ტერიტორიის ათვისება თუ სხვა... სადაც კი ძაღლის თავი სულ პატარა დეტალებშია ჩამარხული, იურიდიული სამსახურის გაფორმებულია. ირაკლი აბესაძე იყო ერთ-ერთი გავლენიანი ტიპი მერიაში, რომელსაც უგულავა თვალდახუჭული ენდობოდა. სჭირდებოდა საქმეს კანონის შეცვლა? — ჯერ კანონი იცვლებოდა პარლამენტში, სჭირდებოდა გადაწყვეტილება? —საკრებულოც კოლექტიურად უჭერდა მხარს... მოკლედ, ისე მყარად არის დოკუმენტები შედგენილი, რომ სამართლებრივად მასთან გამკლავება შეუძლებელია. გიგი ციხეშია, აბესაძე — გარეთ. მართალია, დოკუმენტებს ეს უკანასკნელი ამზადებდა, მაგრამ საბოლოოდ ხელს უგულავა აწერდა და წონას ის სძენდა. ამიტომაც გიგი დაიჭირეს, აბესაძე მხოლოდ დაკითხა პროკურატურამ, ესაა და ეს... მაგრამ გარეთ დარჩენილიც დიდი ძალაა, ძალა, რომელიც მას დიდ უსამართლობასთან აკავშირებს და დღესაც ამ მორევში ითრევს, მაგრამ რას იზამს, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობს“ და მასაც არჩევანი აღარ დარჩენია...

ᲐᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ „ᲡᲐᲛᲐᲘᲐᲡ“ ᲤᲔᲠᲮᲣᲚᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲘᲢᲠᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲬᲐᲛᲝᲐᲫᲐᲮᲔᲑᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ... ᲓᲐᲡᲐᲧᲕᲔᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ?!

ᲜᲘᲐ ᲤᲘᲤᲘᲐ

◎ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲔᲒᲣᲔᲑᲘ!

ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲕᲐᲠ ᲰᲝᲛᲝᲤᲝᲑᲘ!

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ �გᲔᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲔᲜᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲐᲰᲐᲚᲘᲡᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲘᲥ ᲝᲠᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲧᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ!

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲘᲗᲘ ᲐᲜ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲝᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ, ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲡ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲒᲘᲕᲔ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲡᲐᲪ! ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲓᲔᲜᲝᲑᲐᲛ ᲐᲥᲐᲪ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲠ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ. ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘᲪ ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐᲗ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲘ, ᲐᲜ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲝᲚᲐ.

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲐᲛᲓᲔ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲔᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ 90-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ �გᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲐᲗ �გᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲔᲚᲔᲑᲘ!

ᲐᲛᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ! ᲛᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, �გᲔᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐᲐ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ —ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ!

ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ: �გᲐᲮᲡᲝᲕᲗ 60-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ , ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ „10 ᲒᲝᲒᲝᲖᲔ, ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ 9 ᲑᲘᲭᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ“? ...ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲨᲘᲪ ᲪᲠᲣᲝᲑᲓᲜᲔᲜ, 10 ᲑᲘᲭᲘ 6 ᲒᲝᲒᲝᲖᲔ „ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ“!

ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲖᲛᲘᲡ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲝ�გᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗᲐᲗ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲖᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲐᲦᲘᲜᲨᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲰᲝᲠᲛᲝᲜᲘᲡ, ᲢᲔᲡᲢᲔᲢᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲡᲥᲔᲡᲘᲐᲜᲗᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ — �რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა!..

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲝᲡ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ, ᲛᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲛᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲡ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲗ, �გᲐᲕᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲨᲘ „ᲛᲔ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲘᲚᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ“ — „ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲧᲝᲗ“! ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲛᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲕᲔᲒᲣᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ „ᲥᲐᲚᲐᲑᲘᲭᲔᲑᲡ“ ᲓᲐ „ᲥᲐᲚᲐᲙᲐᲪᲔᲑᲡ“!

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲘᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲘᲩᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲥᲕᲐᲜᲘ

● **ᲐᲛ ᲡᲘᲪᲮᲚᲨᲘ ᲙᲐᲪᲗᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲥᲐᲚᲗᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲬᲕᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘ!**

● **ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲘᲓᲞᲠᲔᲛᲘᲐᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲯᲘᲞᲘᲐᲜᲘ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ... ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲑᲘᲢᲣᲡᲘᲗ, ᲥᲪᲔᲕᲘᲗ, ᲛᲘᲮᲠᲐ-ᲛᲝᲮᲠᲘᲗ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲗ — ᲐᲤᲡᲣᲡ „ᲕᲝᲚᲒᲘᲐᲜᲝ“ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲝ.**

● **ᲛᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ — ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ – ᲓᲔᲛᲝ(ტ)ᲠᲐᲙᲘᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲐᲠᲪ ᲐᲨᲨ, ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ!

მსგავსი პათოსის განცხადებები ხშირად გვსმენია პოლიტიკოსთა მხრიდან, რაც უკეთეს შემთხვევაში უცოდინრობის ბრალია, ხოლო უარესში ურაპატრიოტიზმის, უსინდისო პოპულიზმის მძაფრი სუნი უდის!

ერთთა და მეორეთა საყურადღებოდ, გნებავთ ზოგადად ცნობისთვის:

მსგავსი ფუფუნების უფლება საქართველოს 2000 წლოვან (უფრო შორს არ ღირს წასვლა) **ისტორიაში, ერთმანეთის მიყოლებით, სულ რაღაც 120 წლის მანძილზე** (დავით აღმაშენებლიდან, ვიდრე თამარ მეფემდე) **ჰქონდა, როდესაც აქეთ მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერიის და იქით მუსულმან ბარბაროსთათვის ჭკუის უკითხავად წარმართავდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას!**

და უფრო მეტიც, ამ პერიოდში ისეთ ძალმოსილებას მიაღწია საქართველომ, რომ მცირე აზიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფოები საქართველოს ინტერესებს აქეთ ითვალისწინებდნენ!

საქართველოს ეს ოქროს ხანა, როგორც იტყვიან, იყო და არა იყო რა – ზღაპარი მალე დასრულდა და საქართველო **(თუ არ ჩავთვლით ოქროს ხანამდე ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მესამის თუ თამარის შემდეგ, გიორგი ბრწყინვალის ეპიზოდურ გამონათებებს)** მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ელემენტარულად ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძოდა ხან სპარსეთის, ხან არაბ სარკინოზთა, ხან თურქსელჩუკთა, მოგვიანებით კი ირან-თურქეთის წინააღმდეგ!

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი მარტოდმარტო, რადგან მას შემდეგ, რაც განათლებულმა ევროპამ ევროპული ცივილიზაციის ფორპოსტი მახლობელ აზიაში, ბიზანტია ვერ თუ არ დაიცვა (უფრო არ და ამ არას ერთი მიზეზთაგანი სხვა მრავალთაგან ისიც იყო, რომ კათოლიკური ევროპისგან განსხვავებით, ბიზანტია „არასწორი“ მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო იყო), **კონსტანტინოპოლი სტამბოლად იქცა, ხოლო საქართველო ისლამური ოკეანის შუა გულში აღმოჩნდა!**

(დიახ, მარტოდმარტო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტია ხშირად მტრობდა საქართველოს, საერთო საფრთხის ჟამს ერთმორწმუნე ბერძენ-ქართველნი ახერხებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლას).

ამიტომ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე XVIII საუკუნის დასასრულამდე ქართველი ერის ყოფა ფიზიკური გადარჩენისთვის და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა იყო!

ამ ბრძოლაში საქართველო ევროპაში მოკავშირეების ძიებაში ამაოდ დაშვრა და ამ „ამაოების“ ერთი მიზეზი (იმის გარდა, ევროპას საქართველო ზოგადად ფეხებზე ეკიდა, რადგან „ციცას ეფერებოდა ლუი XIV“) **ისიც გახლდათ, რომ ბიზანტიის არ იყოს, ქართველი ერიც, ვატიკანის, ანუ კათოლიკური ევროპის აზრით, არასწორი, მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევარი იყო.**

სხვათა შორის, მართლმადიდებელი ქართველი ერის გაკათოლიკებაზე და მით ვატიკანის მფარველობის მოპოვებაზე სერიოზულად ფიქრობდა ვახტანგ მეექვსე და მისი დასის ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკედ მოინათლა კიდეც, რისთვისაც, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ კონკრეტული ამბის გამო სვეტიცხოვლის ეზოში ხალხმა წვერით ათრია ზოგადად საქართველოსთვის დამაშვრალი მამულიშვილი, რადგან ქართველი კაცი საფრთხეს პირჯვარის უკუღმა გამოსახვაში კი არა, ქართველი ერისთვის მიუღებელ (ეჭვი მაქვს, რომ ქრისტესწინარე საქართველოშიც) სისხლის აღრევის დაკანონებაში ხედავდა, რაც, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის ქორწინებების სახით, მაჰმადიანთა მსგავსად, კათოლიკეთათვისაც ჩვეულებრივი ამბავია!

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად ჩანს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველომ უარი თქვა ევროპაში მოკავშირეთა ამაო ძიებაზე და ერეკლე მეორემ სასოებითი მზერა ერთხელ და საბოლოოდ ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიმართა პირველ რიგში არა როგორც მოკავშირეზე, არამედ, როგორც მფარველზე – გიორგიევსკის ტრაქტატიც უწინარესად მფარველობითი ხელშეკრულებაა და არა სამოკავშირეო!..

ჩვენსავით პატარა სახელმწიფოების დიდ და ძლიერ სახელმწიფოებთან თანასწორი მოკავშირეობა იდეაშივეა გამორიცხული და ეს უნდა გვესმოდეს! საქართველოს დღესაც მფარველი სჭირდება და ვისი მფარველობა ჯობია ჩვენთვის, ამერიკის თუ რუსეთის, ამაზე ქვემოთ...

რატომ და რისთვის ეს ვრცელი ისტორიული ექსკურსი?

იმიტომ, რომ ზემოთ თხრობილი ისტორია, მცირედი პერიფრაზით (თუ ასე თქმა შეიძლება) ჩვენს თვალწინ მეორდება:

ჯერჯერობით მხოლოდ სოხუმ-ცხინვალ „ახეული“ საქართველო დღესაც ფიზიკური გადაშენების (მილიონზე მეტი ქართველია გადახვეწილი სამშობლოდან 9-წლიანი ნაციონალური კოშმარის გამო) და თუ რამ დარჩება საქართველოში, მენტალური გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშეა!

პერიფრაზის არსი კი არის, რომ დღეს ჩვენი მტრების მხოლოდ სახელებია შეცვლილი. რომლებიც ახალი იდეოლოგიით უტევენ მთელს კულტურულ ცივილიზაციას, მათ შორის საქართველოსაც და ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ...

აგრესიული ნეოლიბერალიზმი, რომელიც დაფუძნებულია ხუთ არაზე:

არა სამშობლო, არა ეროვნება, არა ღმერთი, არა ოჯახი და ბოლოს არა სქესი!..

დაბოლოს, ანუ, XXI საუკუნის დასაწყისამდე ერთსქესიანთა „სიყვარული“ იმდენად კატასტროფული მასშტაბების არ იყო, როგორც დღეს, თორემ, პირველი „4 არა“, გასული საუკუნის 20-იან წლებში, მაშინდელ საბჭოთა კავშირშიც ინერგებოდა იმ დროის ლიბერალების მიერ ლევ ტროცკის მეთაურობით და ამიტომ თანამედროვე ნეოლიბერალებს ნეოტროცკისტებადაც მოიხსენიებენ...

20-იანი წლების ტროცკისტების თარეშს სამანი „სისხლის მსმელი“ სტალინის გენიამ დაუდო!

სწორედ სტალინის დროს განახლდა ლენინ-ტროცკის მიერ დახურულ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება, პატრიარქის ინსტიტუტი დაუბრუნდა რუსეთის ეკლესიას და ფაქტობრივი ავტოკეფალია – ქართულს, ღვთივბოძებული შინაარსი დაიბრუნა სამშობლოს ცნებამ, საბჭოთა მოქალაქეთა პასპორტებში გაჩნდა ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, ოჯახის ინსტიტუტი გამოცხადდა საბჭოთა წყობის (გნებავთ, რეჟიმის) ქვაკუთხედად!

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, განსაკუთრებით ამ ომში გამარჯვების მთავარი შემოქმედის, გენერალისიმუს სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო დასავლეთმა (წაიკითხე აშშ) ე.წ. ცივი ომი საბჭოეთის წინააღმდეგ, რაც მათი გავლენის აგენტის, ტყლიპიანი გორბაჩოვის მეცადინეობით საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა!

ამ ომის იდეოლოგია ე.წ. „ადამიანის უფლებების“ დაცვას ემყარებოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის, პრესის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საჯარო შეკრებების თავისუფლებას და ა.შ. გულისხმობდა.

დასავლეთის რადიოსადგურების ეს პროპაგანდისტული საკენკი სწორედ ჩემმა თაობამ აკენკა და სწორედ ჩემი თაობის ხელით დაანგრიეს, როგორც დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა, სოციალურად ყველაზე სამართლიანი ზესახელმწიფო, რომლის სამართალმემკვიდრე ეკონომიკურად განადგურებული, დემორალიზებული რუსეთი გახდა!..

ბოლო 20 წელიწადი მრავალი დამცირება, აბუჩად აგდება გადაიტანა ელცინის დროს გაძარცულ-გაფარჩაკებულმა რუსეთმა და როდესაც ამერიკას რუსეთის თემა „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ დახურული ეგონა, როგორც არაერთხელ ყოფილა რუსეთის ისტორიაში, რუსეთი სასწაულებრივად ფენიქსისებრ ფერფლიდან აღსდგა და ამ სასწაულის სახელი ვლადიმერ პუტინია!

ახლა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისტორიის პერიფრაზირებული ვარიანტი ჩვენს თვალწინ მეორდება:

ისევ ადამიანის უფლებების კომუფლაჟით ამერიკული დემოკრტიის ექსპორტი ე.წ. ფერადი რევოლუციების მეშვეობით, ჯერ იუგოსლავიაში, შემდეგ საქართველოში, უკრაინაში ე.წ. არაბული გაზაფხული და შედეგად დაშლილ-დაქუცმაცებული იუგოსლავია, საქართველო, უკრაინა, ისლამური ხალიფატი...

იმ ადამიანის უფლებებს შორის, რომელსაც აშშ საბჭოეთთან მიმართებაში „იცავდა“ და იმ ადამიანის ულებებს შორის, რომელსაც აშშ ახლა რუსეთთან მიმართებაში „იცავს“, ის განსხვავებაა, რომ დღეს ე.წ. ადამიანის უფლებებში უპირველესად ლგბტ თემის უფლებები იგულისხმება!

ის, რაც გასულ პარასკევს ამერიკაში მოხდა, ამის ნათელი დასტურია!

გავიხსენოთ მოვლენათა განვითარების დინამიკა, რომელიც წინ უძღოდა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს „ისტორიულ“ ვერდიქტს, რომლის ძალითაც ერთსქესიანი ქორწინებები ეკონომიკურად, სამხედროდ ყველაზე მძლავრი ზესახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე დაკანონდა და რასაც ობამამ, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის დემოკრატიის გამარჯვება უწოდა:

ბარაკ ჰუსეინ ობამას გაპრეზიდენტებისას აშშ-ის მხოლოდ 6 თუ 7 შტატში იყო დაკანონებული მსგავსი „გამარჯვება“...

აქედან გამომდინარე გააკეთა მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განცხადება, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში ლგბტ უფლებების დაცვა იქნებაო და ბარაკმაც კვერი დაუკრა!

ჰოდა, შედეგიც სახეზეა – მას შემდეგ ბევრი ევროპული სახელმწიფოც გაბედნიერდა მაგავსი „გამარჯვებებით“ და აგერ ახლა აშშ, სადაც მსოფლიო დემოკრატიის სიმბოლო თეთრი სახლი ლგბტ ფერებში შეღებეს, რომლის ფონზეც ვიხილეთ ახალგაზრდა თუ ბებერი პედერასტების გულის ამრევი „მტლაშამტლუში“, ხოლო, აშშ-ის დღევანდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ პირობა დადო, რომ მოკლე ხანში მთელი მსოფლიო იზეიმებს კაცობრიობის არნახულ პროგრესს!

ახლა მოდით, დავუბრუნდეთ წინამდებარე წერილის სათავეებს. რომ არა ზემოთ ხსენებული „ამერიკის გამარჯვება“, დილემის – ამერიკა თუ რუსეთი, უპირატესად საქართველოსთვის მისაღებ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილში საუბარს ვაპირებდი, მაგრამ...

როგორც იტყვიან, „რამსები ამერია“, რადგან „ამერიკული გამარჯვების“ ფონზე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა არგუმენტმა ფასი დაკარგა და კითხვა – ამერიკა თუ რუსეთი, პირადად ჩემთვის დღეიდან მხოლოდ ზნეობრივ კონტექსტში განიხილება, რადგანაც იმ მსოფლიოს ნაწილი, რომელსაც ჯონ ქერი ტოტალური ლგბტ-ზაციით დაემუქრა, ჩემი სამშობლოც არის, რომელიც აშშ-ის გაფარჩაკებული სატელიტია და ვის თუ არა საქართველოს (რომლის ხელისუფლებაც აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირის უტოპიით ატყუებს საკუთარ მოსახლეობას) მოუწევს „ამერიკის გამარჯვების“ გაზიარება?..

ბატონ რეზო ამაშუკელს შევეხმიანე ამ თემაზე და ეს არის ამერიკის დემოტრაკიაო, მოკლედ მომიგო და გაბრაზებულმა ყურმილი დამიკიდა!..

მართლაც, უკეთესად, ალბათ, შეუძლებელია „ამერიკის გამარჯვების“ შეფასება...

ჯონ ქერის დანაპირების ინტერპრეტაცია ასეც შეიძლება – ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!

საიდანაც მარტივი პერიფრაზით გამოვა, რომ, ვინც ჩვენთან არის, პედერასტია, ანდა კიდევ უკეთესი: ვინც ჩვენთან არის, **დემოტრაკია!**

ჰოდა, დღეის შემდეგ საქართველოში პროამერიკულ ძალებს **დემოტრაკებად** მოვიხსენიებ და ალასანიებს, რესპუბლიკელებს, ნაცებს, ახლებს (და ა.შ. ვინ და რამდენი ხართ, გამოდით, დაგთვალოთ), პერსონალურად ირაკლი წერეთელს, ნუ ეწყინებათ ისევე, როგორც ქართველ ლგბტ თემს ნუ ეწყინება თუ პედერასტებს ვუწოდებ, თორემ სად ვარჩიო ახლა მაგათი აბრევიატურა, თვითონ მორიგდებიან ერთმანეთში ვინ გეია, ვინ ლესბოსელი და ა.შ.

მსოფლიო პედერასტების ბელადმა ბარაკ ობამამ „ამერიკის გამარჯვებად“ გამოაცხადა ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება და **პედერასტად,** ან **დემოტრაკად** მოხსენიება, ვის და რატომ უნდა ეწყინოს?

ვისაც მაინც ეწყინება, მათ სანუგეშოდ 1767 წელს ანტონ კათალიკოსის ეპისტოლეზე მეფე ერეკლეს მინაწერს მოვიყვან იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოში პედერასტებისთვის უფრო „საამო“ ვითარებაც ყოფილა და **დემოტრაკები** არიან თუ **პედერასტები,** ეწყინებათ კი არა, ღმერთს (თუმცა, სად ლგბტ და სად ღმერთი, მაგრამ მაინც) მადლობას შესწირავენ, რომ ერეკლეს დროს არ უცხოვრიათ“.

„ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამლელნი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა — დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამების ხელსაწყო — **ავტ.**) **დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“.**

წყარო: კორნელი კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი 1, თავი — კანონიკა, გვერდი 522.

ეს ისე, მცირე ლირიკულ-იუმორისტული გადახვევა და ახლა სერიოზულად გავაგრძელოთ...

მსოფლიოში არსებულ ამ ტრაგიკომიკურ ფონზე რუსეთია ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც კანონით აქვს აკრძალული საკუთარ ტერიტორიაზე გეი-აღლუმები, ანუ ერთსქესიან ქორწინებებზე ოცნებაც არ შეუძლიათ რუს პედერასტებს!

თანაც, ის ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფო პრაქტიკულად ერთი და იგივეა!

მართლმადიდებლი ეკლესია უპირველესი მოწინააღმდეგეა სოდომის ცოდვის დაკანონებისა!

დღეს, რუსეთის ზესახელმწიფოა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯი, რომელსაც ბირთვული პოტენციალიც იცავს და თუ ჯონ ქერი მოკლე ხანში აღასრულებს დანაპირებს, რისთვისაც ვატიკანის სიმბოლური წინააღმდეგობის დაძლევას ადვილად შესძლებს, სანამ რუსეთი იქნება, მართლმადიდებლობას ცუდუბრალოდ ბუზსაც ვერავინ აუფრენს!

მაშ ამერიკა თუ რუსეთი?

არჩევანი მარტივია:

ან დემოტრაკია და შედეგად ქართველი ერის ლგბტ-ზაციის რეალური საფრთხე, ან ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ საკუთარი მენტალობის შენარჩუნება და როცა იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი!

დასასრულს, დიდი ქართველი მამულიშვილის, წმინდა ილია მართლის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილიდან, „ასის წლის წინათ“ ფინალურ პასაჟს მოვიტან. წერილიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძემ 1899 წელს დაწერა და რომელიც საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა:

ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ.

ამას წერს კაცი, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცოდა ის ობიექტური ბოროტებანი, რომელიც რუსეთის იმპერიაში მყოფ საქართველოს შეხვდა, მაგრამ 100 წლის მერე, ასწონა რა ისტორიის სასწორზე ბოროტება და სიკეთე, ავი და კარგი რუსეთთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა, ბოროტება — სიკეთემ, ავი — კარგმა გადასწონა!

მთავარი სიკეთე კი ის იყო რომ, მართალია რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა გაცილებით მთავარი — სამშობლო და ეროვნული თვითმყოფადობა!..

ახლა, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქართველმა ერმა თავად განსაჯოს, თუ რა ჯობს, გაპედერასტებულ ამერიკელ დემოტრაკებთან ეფემერული სტრატეგიული მოკავშირეობა და უეჭველი გადაგვარება, გახლისტება, საქართველოს კიდევ უფრო დაშლა-დაქუცმაცება თუ რუსეთთან ერთად ევრაზიულ სივრცეში სამშობლოს, მართლმადიდებლობის, კაცობის შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივა?

დავით მხეიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნინო სონაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნინო სონაშვილი (პ/ნ 01021010421), მის: თბილისი, სადმელის ქ. №12ა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, სადმელის ქ. №12ა (საკადასტრო კოდი: 01.12.03.017.013), არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 175კვ.მ., შენობა-ნაგებობა №1, 49.41კვ.მ.

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22415.12 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 27 ივლისი, 11:15 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
კობა კობაიძე (პ/ნ 01009007088), მის: თბილისი, სადმელის ქ. №12ა;
ნინო სონაშვილი (პ/ნ 01021010421), მის: თბილისი, სადმელის ქ. №12ა;
ლევან ვარდიშვილი (პ/ნ 31001041217), მის: მცხეთა, სოფელი საგურამო.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 27 ივლისის, 11:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანგული ანთაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანგული ანთაძე (პ/ნ 42001022823), მის: ფოთი, გურიის ქ. №73;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, მალთაყვას ქ. №178 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.344), არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 545კვ.მ., შენობა-ნაგებობები, განაშენიანების ფართი: №1 137.5კვ.მ., №2 25.6კვ.მ., №3 10.3კვ.მ.

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4799.59 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 27 ივლისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
ანგული ანთაძე (პ/ნ 42001022823), მის: ფოთი, გურიის ქ. №73;
სალომე ბაქანიძე (პ/ნ 42001012481), მის: ფოთი, ზამბახიძის ქ. №28, ბინა 30;
ლინერი კუჭუხიძე (პ/ნ 42001012619), მის: ფოთი, ვ. კომაროვის ქ. №8.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 27 ივლისის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ალიან-ჩალიანი

დევნილობა ყალბი საბუთებით დასჯადია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 79 მოქალაქის საქმეს შემდგომი რეაგირებისთვის პროკურატურას გადაუგზავნის.

როგორც მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილმა განაცხადა, სამინისტროში დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციასთან დაკავშირებით მოქმედმა კომისიამ განიხილა იმ დევნილთა შემთხვევები, რომლებმაც გაყალბების გზით მიიღეს დევნილის სტატუსი და ამავდროულად სახელმწიფოს მხრიდან დაკანონებული აქვთ საცხოვრებელი ფართი, ან აღებული აქვთ ფულადი კომპენსაცია. ასეთი სულ 23 ოჯახია. ამ ოჯახებს, სამინისტროს კომისიის გადაწყვეტილებით, ოჯახის წევრებთან ერთად გადაეცათ დევნილის სტატუსი.

ოჯახის წევრებმა კი კომისიასთან გასაუბრების შედეგად აღიარეს, რომ არ იყვნენ დევნილები, გაყალბებული ჰქონდათ დევნილის სტატუსი და ითხოვდნენ მათზე ამოქმედებულიყო 2013 წლის 30 დეკემბრის ამნისტია. გარდა ამისა, იმსჯელეს იმ დევნილთა შესახებ, რომლებმაც მიიღეს კომპენსაცია და პარალელურად საცხოვრებელი ფართი დაუკანონდათ. ერთ შემთხვევაში კომპენსირებულია 8 ოჯახი, ბინა და კომპენსაცია ერთი და იგივე პირზეა გაცემული, მეორე შემთხვევაში კი დაკანონებულია და კომპენსირებულია 48 ოჯახი, თუმცა ბინა და კომპენსაცია ოჯახის სხვადასხვა წევრზეა გაცემული.

„ერთ-ერთი ფაქტი ძალიან საინტერესოა, რეგისტრაციასთან დაკავშირებით მოქმედმა კომისიამ გამოავლინა პირი, რომელმაც შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემებით ყალბი პირადობის მოწმობა დაამზადებინა, მიიღო საცხოვრებელი ფართი, შემდეგ მიმართა რეესტრს, მისი ნამდვილი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით ქონების გადარეგისტრირების შესახებ“, — განაცხადა შოთა რეხვიაშვილმა.

ერიდეთ თაღლითებს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დევნილებს მოუწოდებს, თაღლითურ დაპირებებს არ წამოეგონ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოქალაქე რამაზ არონია დააკავა. რამაზ არონია აფხაზეთიდან დევნილია.

არონია თაღლითური გზით „სოფლად სახლის პროექტის“ ფარგლებში, სახლის შეძენის პროცესში დახმარების აღმოჩენის მიზნით, მოქალაქე ლ.ქ.-ს 2000 ლარს სძალავდა. სამინისტრო მიმართავს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომ მსგავს თაღლითურ დაპირებებს არ წამოეგონ, უწყება აფრთხილებს დევნილებს, რომ მხოლოდ სამინისტროში მოქმედი კომისიაა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც საცხოვრებელ ფართებს კრიტერიუმების შესაბამისად ანაწილებს.

კვიტაშვილს წყალი შეუდგა, ახლა ვისი რიგია?..

უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი თანამდებობიდან მის შესაძლო გათავისუფლების საკითხს გამოეხმაურა.

„უკრაინაში რეფორმების გასატარებლად ჩამოვედი. ჩვენ დღეისთვის მზად ვართ ამის გასაკეთებლად. ყველაფერი მზად გვაქვს. შევცვალეთ შესყიდვების სისტემა. მივდივართ გამჭვირვალე, ნორმალური, ცივილური გზით. მესმის, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც ჯანდაცვის სისტემაში იყო ჩამჯდარი, შემოსავლებს კარგავს. ეს არის უკრაინის პირველი და უკანასკნელი შანსი, განახორციელოს ჯანდაცვის რეფორმა“, — განაცხადა კვიტაშვილმა.

„პეტრო პოროშენკოს ბლოკს“ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის ალექსანდრე კვიტაშვილის გადაყენება სურს. ამის შესახებ „უკრინფორმი“ პარტიის წევრ დეპუტატ იგორ კონონეკოზე დაყრდნობით წერს.

ინტერპრესი

სისტემური ანალიზი, გენერალური გეგმა, ექსპერტული სისტემა. იმიტაციური მათემატიკური მოდელირება, — ესენი ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების შეფასებისა და მართვის საკვანძო სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობა ქალაქის მთავრობასა და ადმინისტრაციას გათავისებული უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასე არ არის. ამის ნათელი მაგალითი ბოლო დროს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებია, საიდანაც ცხადად გამოჩნდა სისტემური მართვის სპეციალისტების, ცნობილი ქართველი მეცნიერების დასკვნების უგულებელყოფით გამოწვეული უბედურება.

„ქ. თბილისის მერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუმრობისას მეცნიერთა ჯგუფის (აკად. არჩილ ფრანგიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ახობაძე და პროფ. გოჩა მიქიაშვილი) სახელით გადავეცი მასალა, რომელშიც ასახული იყო ჩვენი მუშაობის შედეგები და წინადადებები ურბანული სისტემების მათემატიკური მოდელირებისა და მართვის საკითხებზე.

როგორც ირკვევა, აღნიშნული მასალა-ინფორმაცია საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქალაქის შესაბამისი სამსახურები დაინტერესებულიყვნენ ჩვენი შედეგებითა და წინადადებებით (ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ პრობლემებზე 1990 წლიდან დაწყებული გამოქვეყნებული გვაქვს უამრავი სამეცნიერო შრომა და მონოგრაფია)“, — ამბობს ჩვენთან საუბარში ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ახობაძე.**

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო — ნათქვამია და იქნებ ახლა მაინც გააანალიზონ და დაფიქრდნენ ის პირები, ვისაც ხელეწიფება ქალაქის დაგეგმარება, თუ რისი გათვალისწინებაა საჭირო ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

ქალაქის დაგეგმარება — სპეციალისტების გვერდის ავლით

მეცნიერული მიღწევების უგულებელყოფას ქვეყანა ნგრევამდე მიჰყავს

მერაბ ახობაძე: ქალაქი, როგორც ურბანული სისტემა, წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს მატერიალურ ასახვას, რომლის ფორმირება მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ქალაქი წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, იგი მოიცავს და აერთიანებს პროექტებს, იდეებს, სტიქიურ მოვლენებს, შემთხვევით და დაგეგმილ პროცესებს. იგი მოიხმარს მატერიალურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ და სხვა რესურსებს. „იცილებს“ თავის მიერვე გადამუშავებულ მატერიალურ რესურსებს, გამოყენებულ პროდუქტებს (საწარმოო ნარჩენები, გადამუშავებული წყალი და სხვა.). დღეს, მსოფლიოს მოსახლეობის 51% ქალაქებში ცხოვრობს. 2050 წლისათვის კი მთელი მოსახლეობის 2/3 იცხოვრებს. ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გაცილებით მეტი ტერიტორია, ვიდრე მას უკავია. დადგენილია, რომ ლონდონის მოსახლეობის გამოკვებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, აუცილებელია 125-ჯერ მეტი ტერიტორია, ვიდრე ახლა მას უკავია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მიწის, ნედლეულის და ა.შ. სხვა რესურსები კატასტროფულად მცირდება, რაც ჩვენგან მოითხოვს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას. რადგანაც, არც დრო გვაქვს და არც რესურსები იმისათვის, რომ შემდგომში ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეიძლებოდეს.

— თუმცა, ვხედავთ, რომ ეს მიდგომა უგულებელყოფილია...

— ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს ქალაქებში მიმდინარე სამშენებლო პროცესები შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც მოსახლეობის თვითშემოქმედების (1990-2003), ინვესტორთა მოთხოვნების შეუზღუდავი განხორციელების (2004-2008) და ბოლოს პოლიტიკური ურბანიზმის ზეობის პერიოდი. მიტაცებულია ფეხით მოსიარულეთა ბილიკები, საზოგადოებრივი სივრცეები, უგულებელყოფილია მოსახლეობის კანონიერი ინტერესები. წარმოჩენილია დაუბალანსებლობა საზოგადოების სხვადასხვა ფენების და ჯგუფების (ხელისუფლება, საზოგადოება, ბიზნეს-ინტერესები) მოთხოვნებს შორის.

თანამედროვე არქიტექტურა სოციალური პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული. ამიტომ ქალაქების (ზოგადად — ურბანული სისტემების) განვითარების, რეკონსტრუქციის პროექტის შექმნისას ურბანისტებს ევალებათ, გაითვალისწინონ და განახორციელონ სხვადასხვა კატეგორიებით მოაზროვნე და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მრავალი მიმართულების სპეციალისტების: სოციოლოგების, ეკოლოგების, იურისტების, დემოგრაფების, ეკონომისტების და სხვა რეკომენდაციები, რჩევები, აზრები და შენიშვნები. სხვადასხვა ენაზე მოაზროვნე სპეციალისტების ერთ ენაზე დაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მათემატიკის საშუალებით. **აუცილებელია, რომ არქიტექტორებმა და ურბანისტებმა განჭვრიტონ, თუ როგორი იქნება საზოგადოება მრავალი წლის შემდეგ, როგორი იქნება ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ. ქალაქების და რეგიონების განვითარების კონცეფცია ერთდროულად უნდა მოიცავდეს როგორც კონსერვატიულ, ასევე ახალ, დინამიკურ ფაქტორებს.** თითოეული სახლის, კვარტლის აშენება, რეკონსტრუქცია უნდა იწყებოდეს მიზნის ჩამოყალიბებით, ხოლო მიზანი უნდა იძენდეს შესაბამის ფორმას. სოციალური სისტემების სხვადასხვა პროცესების ურთიერთქმედებათა კანონების არაწრფივობა წარმოადგენს თვითორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას დროსა და სივრცეში. რაოდენობრივი ცვლილების გადასვლა თვისებრივში და პირიქით, ეფუძნება დიალექტიკის კანონს, ანუ რაოდენობრივი ცვლილების დროს, შესაძლებელია მოხდეს მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებები. კერძოდ, შეიძლება ქალაქმა „შეიძინოს“ ისეთი ფუნქცია, რომელიც ადრე მას არ გააჩნდა. ან წარმოიშვას ისეთი პროცესი, რომლის მართვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, თვალი მივადევნოთ საქალაქო სისტემაში მიმდინარე პროცესების რაოდენობრივ მახასიათებლებს, რათა სახიფათო არეში მათი „შეჭრისას“ ან მიახლოებისას მივიღოთ შესაბამისი ზომები, რათა საფუძველი არ დაედოს ისეთ მოვლენებს. რომლებიც შემდგომ კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს. ექსპერტული სისტემა საშუალებას გვაძლევს, პროგნოზირება გავუკეთოთ აღნიშნული პარამეტრების სიდიდეებს და გვაძლევს რეკომენდაციებს იმ ქმედებათა თაობაზე, რომელთა განხორციელების შემთხვევაში ავიცილებთ ყოველგვარ კატაკლიზმებს (ჩერნობილში კატასტროფულად განვითარებული პროცესები, სწორედ ასეთი ექსპერტული სისტემის უქონლობის შედეგი იყო).

— ამის მიუხედავად ქალაქგეგმარებით გადაწყვეტილებებს ხშირად გარკვეული დონის სუბიექტივიზმი ახასიათებს...

— მართალია. ქალაქის დამპროექტებლების მიერ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ზოგადსისტემური კანონზომიერებანი, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ქალაქი, როგორც სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ერთი მთლიანი, დაუყოფელი დინამიური ერთობაა. მასში ყველაფერი ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაშია, ამასთანავე ყველაფერი კონფლიქტურია. ადამიანის არსებობისათვის კომფორტული, დაბალანსებული, მდგრადი სტრუქტურების შექმნა კი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობით, მათი ერთობლივი ქმედებით.

თანამედროვე მეცნიერული მიმართულების — ქაოსის თეორიის თანახმად, ჩვენს მიერ დაშვებულ პატარა შეცდომას, შეიძლება შემდეგში მოყვეს გამოუსწორებელი შედეგები. რისი მოწმენიც გავხდით კიდეც მრავალჯერ... აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების პრინციპი გვავალდებულებს, შევქმნათ ისეთი ექსპერტული სისტემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, შევაფასოთ ქალაქის, რეგიონის დაპროექტებისა და რეკონსტრუქციისათვის მიღებული ყოველი ჩვენი გადაწყვეტილება, რათა არ დავუშვათ ისეთი შეცდომები, რომლებიც შემდგომ კატასტროფამდე მიგვიყვანს.

— როგორც ვიცით, ამ საკითხზე არაერთხელ გქონიათ საუბარი თბილისის მერთან, სხვა ხელმძღვანელ პირებთან. ბოლო დროს აქცენტს აკეთებენ სპეციალური სამსახურის შექმნაზე, მაგალითად არქიტექტურის დეპარტამენტის და ა.შ.

— საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქალაქის მერის სტუმრობისას, მას გავახსენე: თქვენი მინისტრობის დროს კვიპროსიდან დაბრუნებულმა განაცხადეთ, რომ კვიპროსის ხელისუფლება დაგვპირდა, დაგვეხმაროს ქალაქების დაგეგმარებისა და მართვისათვის შესაბამი-

სი კომპიუტერული პროგრამული სისტემის გადმოცემით-მეთქი. ყოველი ექსპერტული სისტემის საფუძველს კი შეადგენს შესაბამისი პროცესების — სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა მათემატიკური მოდელების ერთობლიობა, რომელშიც ერთდროულად, სისტემურად აისახება თითოეულის ზეგავლენა სხვა დანარჩენებზე.

ქალაქის ფუნქციონირების იმიტაციური მოდელი საშუალებას გვაძლევს, არა მარტო ოპერატიულად შევაფასოთ ქალაქში მიმდინარე პროცესები, არამედ განვსაზღვროთ ქალაქის სტრატეგიული მართვის პოლიტიკა და დროულად მოვახდინოთ რეაგირება წარმოქმნილ სიტუაციაზე. მიზანდასახულად, სისტემური მიდგომის საფუძველზე, ჩვენს მიერ არჩეული კრიტერიუმის მიხედვით, ვმართოთ სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა პროცესები.

ქალაქი მიეკუთვნება სტოქასტიკურ-დეტერმინირებულ სისტემათა კლასს და აქედან გამომდინარე, მისი შესწავლა აუცილებლად უნდა მოხდეს შესაბამისი მათემატიკური აპარატის გამოყენებით. მრავალფაქტორიანი კრიტერიუმის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება კი შეუძლებელია მათემატიკის, თანამედროვე მართვის თეორიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

ქალაქის დაგეგმარება და მართვა არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. დღეს რაღაცა კარგია, რომელმაც შეიძლება ხვალ არ ივარგოს. მაგალითად, ავაშენეთ უნივერმაღი თავისუფლების მოედანზე, მაგრამ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არადა, იქ მისულ ადამიანს სჭირდება მანქანის პარკირება, საჭიროა კვების ობიექტები და ა.შ.

რაც შეეხება ე.წ. ახალ გზას, მის ეკოლოგიურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ ჩემი აზრით, მან ვერც იმ დანიშნულებას გაართვა თავი, რისთვისაც გაკეთდა. ყველას უნდა ეკონომიურად სწრაფად მივიდეს დანიშნულების ადგილამდე. ახალი გზით კი დრო უფრო მეტად გვეკარგება.

გეოლოგი, ქართული საინჟინრო გეოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ, თავის „თბილისის საინჟინრო გეოლოგიაში“ წერდა: „განსაკუთრებით რთულად უნდა ჩაითვალოს ტბისეული დანალექების გავრცელების არეალი (მდინარე ვერეს ხეობა), სადაც 1934 წლიდან დაწყებული მეწყრული წანაცვლებები რელიეფის დეფორმაციას იწვევს. ტბისეული დანალექების გავრცელება მტკვრის თანამედროვე დონის ქვემოთ ჩვენ დავადგინეთ 1935 წელს და დავადასტურეთ 1951-1974 წლების შრომებში. ეს გათ-

ვალისწინებული უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როცა ეს ტერიტორიები განაშენიანებისთვის ან მიწისქვეშა მშენებლობისთვის იქნება გამოყენებული“.

მეცნიერებამ ჯერ კიდევ 80 წლის წინ დაადგინა რომ საინჟინრო-გეოლოგიური რისკების თვალსაზრისით ვერეს ხეობა განსაკუთრებით რთული იყო, შესაბამისი გაფრთხილებაც გაკეთდა. სახელმწიფოს მართვისას (ბუნებრივია, არა მარტო სახელმწიფოს მართვისას) მართვის მეცნიერული მიღწევების უგულებელყოფას ქვეყანა (სისტემა) ნგრევამდე მიჰყავს.

საოცარი, თუ საინტერესო ის არის, რომ ხშირად ახალი გზის გაყვანას სატრანსპორტო ნაკადის გაუარესება მოჰყვება ხოლმე. ყოველი ახალი გზა თითქოს უნდა აუმჯობესებდეს მდგომარეობას, მაგრამ ზოგჯერ, ახალი გზის გაყვანა პრობლემას კიდევ უფრო ზრდის — ახალი გზის გაყვანის შემდეგ ორ პუნქტს შორის გადაადგილებისათვის საჭირო დრო იზრდება. ასეთი სიტუაცია, ცნობილია ბრაესის პარადოქსის სახელწოდებით. რეალურად ასეთი რამ მოხდა გერმანიაში, კერძოდ შტუტგარტში: 1969 წელს გადაკეტეს ახალი გზა, ხოლო ნიუ-იორკში 1990 წელს დაკეტეს 42-ე ავენიუ და მხოლოდ ამის შემდეგ შემცირდა საცობები ამ რაიონში. საკმაოდ იოლად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ვერეს ხეობაში ახალი გზა არ აუმჯობესებს სატრანსპორტო სიტუაციას.

საგზაო ინფრასტრუქტურის სიმძლავრის გაზრდისას, მაგალითად ახალი გზის გაყვანისას, და იმ დროს, როდესაც მძღოლები თავად ირჩევენ მარშრუტს, შეიძლება გაიზარდოს გადაადგილების დრო. აუცილებელია მძღოლების მართვა, ფასიანი გზის მონაკვეთის შემოღება (მით უმეტეს თბილისში საოცრად დიდი რაოდენობის ტაქსია), სამსახურების დაწყება სხვადასხვა საათებში, საინფორმაციო დაფების დადგმა და სხვა.

— და ყველაზე საინტერესო მესიჯები მკითხველისთვის, თქვენი, როგორც მეცნიერის საუბრიდან...

— აუცილებელია, ქალაქის ფუნქციურ-სივრცითი განვითარების ექსპერტული სისტემის შექმნა, ქალაქის ფუნქციონირების იმიტაციური მოდელის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, არა მარტო ოპერატიულად შევაფასოთ ქალაქში მიმდინარე პროცესები, არამედ განვსაზღვროთ ქალაქის სტრატეგიული მართვის პოლიტიკა და დროულად მოვახდინოთ რეაგირება წარმოქმნილ სიტუაციაზე. მიზანდასახულად, სისტემური მიდგომის საფუძველზე, ჩვენს მიერ არჩეული კრიტერიუმის მიხედვით, ვმართოთ სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა პროცესები.

ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების შეფასებისა და მართვის ექსპერტული სისტემა ყველა შესაბამის უწყებას მივაწოდე, მაგრამ, სამწუხაროდ, რეაგირება არ მოჰყოლია.

ქალაქის მერს შევთავაზეთ ექსპერტული სისტემის შექმნისა და დანერგვის ეტაპები:

1. ქალაქის, როგორც სისტემის — საინფორმაციო ბაზის, მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნა. ქალაქის ფუნქციურ სისტემებს (ობიექტებს) შორის არსებული მიმართებების დადგენა, ასახვა; სამშენებლო ნორმატივებისა და წესების ფორმირება; სატრანსპორტო ქსელის გრაფის შექმნა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტებისათვის. ქალაქის ზონირება-შეზღუდვები: ისტორიული ნაწილი, საცხოვრებელი ბინათმშენებლობის განვითარების არეალები, სარეკრიაციო ზონები და სხვა.

2. ქალაქში არსებული მდგომარეობის სისტემური შეფასება, ანალიზი, არსებული პრობლემების დაძლევის გზები:

— შექმნილი მოდელის ბაზაზე.

— ექსპერტების მიერ (ურბანისტების, დემოგრაფების, პოლიტიკოსების, ეკოლოგების, ბიზნესმენების, ეკონომისტების და სხვა). ანუ, მოდელისა და ქალაქში მიმდინარე რეალური პროცესების იდენტიფიცირება.

3. ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების ექსპერტული სისტემის დანერგვა გენერალური გეგმის შემუშავებისა და შეფასებისათვის.

პარალელურად, მონაწილეობის მიღება შემდეგი პრობლემების გადაწყვეტაში

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამარშრუტო სისტემის ოპტიმიზაცია.

2. საპროექტო საგზაო მარშრუტების დატვირთულობის პროგნოზი.

3. ამა თუ იმ მარშრუტზე ზოგიერთ სატრანსპორტო საშუალებაზე შეზღუდვების დაწესება და სხვა.

— რა ნიუანსების გათვალისწინებაა აუცილებელი, როცა საქმე ეხება ისეთ მილიონიან ქალაქს, როგორიც თბილისია?

— ქალაქში სხვადასხვა სამრეწველო, საცხოვრებელი თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების აშენებისას, იცვლება მოსახლეობის, ბიზნესმენების და სხვადასხვა ფენების ინტერესების დაკმაყოფილების სფეროები, რის გამოც რეგიონში ჩნდება მოსახლეობის, ინვესტიციების მოძრავი ნაკადები, და სხვა პროცესები. ცხადია, ამ დროს შესაძლებელია მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ინვესტიციების რაოდენობის მკვეთრი ცვლილება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დატვირთულობის მკვეთრი ცვლილება, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება და სხვა. ყველაფერმა ამან შემდეგ შესაძლებელია, მიუღწეველი გახადოს ის მიზანი, რომელიც ამა თუ იმ პროექტით იყო გათვალისწინებული.

ჩვენი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, პროგნოზირება გავუკეთოთ ყველა იმ პარამეტრის ცვლილებას, რომლებიც განსაზღვრავენ საქალაქო სისტემის სახეს და ერთდროულად მივიღოთ შესაბამისი ზომები დასახული მიზნის მისაღწევად. უფრო მეტიც, ჩვენი სისტემა რეკომენდაციებს გვაძლევს, თუ რა ქმედებებია განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად. პროექტის განხორციელების პროცესში აღმოვაჩინოთ, რის გამო ვშორდებით მიზანს და გვაძლევს რეკომენდაციებს, თუ რა მიმართულებით უნდა შევცვალოთ პროექტი, ან მისი განხორციელების თანამიმდევრობა.

ექსპერტული სისტემა საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ სისტემური კატაკლიზმები ქალაქის ფუნქციურ-სივრცული დაგეგმარებისა და აღმშენებლობის დროს.

უმოკლეს მომავალში, სტუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ ცენტრში მოხდება პროექტის „სატრანსპორტო ნაკადის მართვა ქ.თბილისის სატრანსპორტო ქსელის მაგალითზე“, რომლის განხილვაში მოწვეული იქნებიან ქ. თბილისის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები. როგორც მუხრან მაჭავარიანი იტყოდა: „თიხად ქე მაინც გამოგვიყენეთ“.

— იმედია, ხელისუფლება ამიერიდან მაინც დაინტერესდება სპეციალისტებით და უფრო სიღრმისეულად მიუდგება ისეთ დიდ პრობლემას, როგორიც ქალაქის დაგეგმარებაა.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

მარნეულში ახალ გზას აგებენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მარნეულის მუნიციპალიტეტში, წერეთელი-მირზოევკა-მუღანლო-ქესალოს სავტომობილო გზის 12.5-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის III პროექტის (SLRP III) ფარგლებში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს და მისი ღირებულება 4 770 700 ლარია.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წერეთელი-მირზოევკა-მუღანლო-ქესალოს სავტომობილო გზის კმ4-კმ16 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მთლიანად აღდგება საგზაო საფარი, მოეწყობა ასფალტ-ბეტონის საგზაო სამოსი. განხორციელდება მიერთებების, მილების, კიუვეტების, გაჩერებების, ტროტუარების, საგზაო ნიშნებისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული გზა წარმოადგენს ქალაქ მარნეულიდან უმოკლეს კავშირს წითელ ხიდამდე (აზერბაიჯანის საზღვარი), გამოიყენება როგორც სატრანზიტო, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. სამუშაოები 2015 წლის თებერვალში დაიწყო და 2016 წელს დასრულდება. სამუშაოებზე 60 ადამიანია დასაქმებული.

კახეთში იტალიურ კალიებს ებრძვიან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები კახეთის რეგიონში განსაკუთრებით საშიში მავნებლის — ე.წ იტალიური კალიის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბური ღონისძიებებს ახორციელებენ.

წამლობის სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და კახეთის რეგიონის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრნენ.

კალიის წინააღმდეგ წამლობას სპეციალისტები როგორც სამანქანო დანადგარებით, ასევე ავიაციის მეშვეობით ახორციელებენ. ამ დროისთვის დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ახმეტის, გურჯაანის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში 14 500 ჰექტარია წამლით დამუშავებული (მათ შორის 1500 ჰექტარი ავიაციის გამოყენებით). გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე მავნებლის აქტივობა პიკს აღწევს, ღონისძიებები მაქსიმალური ინტენსივობით მიმდინარეობს. იტალიური კალიის წინააღმდეგ ქიმიური წამლობა კახეთში 26 მაისიდან დაიწყო. წამლობის ღონისძიებები 2015 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.

სტიქიის ზონას აეროფოტოთი დააფიქსირებენ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მდინარე ვერეს აუზის აეროფოტო გადაღებას იწყებს. სამუშაოები, რომლებიც დაახლოებით 200 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორიის აეროფოტო გადაღებას ითვალისწინებს, პროექტის — „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის -საქართველოს ორთოფოტო“ ფარგლებში მოხდება. აღნიშნულ პროექტს საჯარო რეესტრი ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანოსთან ერთად ახორციელებს. ტექნიკურ სამუშაოებს უკრაინული კომპანია Aviation Accounting Centre ჩაატარებს.

აეროგადაღების საფუძველზე შეიქმნება საკვლევი ტერიტორიის ციფრული მოდელი, მიღებული დამუშავებული კარტოგრაფიული მასალის გამოყენებით კი განახლდება გეოგრაფიული მონაცემები — რელიეფი, ტყის საფარი, გზა, ინფრასტრუქტურული ნაგებობები, კერძო საკუთრების საზღვრები, მდინარის კალაპოტი და სხვა. მოხდება სტიქიის შედეგად გამოწვეული ცვლილებების ვიზუალური და შინაარსობრივი ანალიზი, დედამიწის ზედაპირის მოდელირება და მაღალი სიზუსტის სამგანზომილებიანი მონაცემების შექმნა. აეროგადაღების შედეგად მიღებული მონაცემები ხელს შეუწყობს სტიქიით მიღებული ზარალის შეფასების ზუსტ ანალიზს და შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს გარემოს დაცვითი კვლევების, გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიისა და სხვა დარგების კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

უკრაინელ კოლეგებთან ერთად აღნიშნულ სამუშაოებში აქტიურად იქნებიან ჩართულები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებიც. „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის: საქართველოს ორთოფოტო“ ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 1 725 000 ევროა. აქედან ნორვეგიის მთავრობის გრანტი 1 420 000 ევროს, სააგენტოს შენატანი კი — 305 000 ევროს შეადგენს.

ინტერპრესი

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2015 წლის 30 ივნისის №46 განკარგულებისა, 2015 წლის 17 ივლისს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

დანართი N1

N	საინვენტარო ნომერი	ძირითადი საშუალების დასახელება	სარეალიზაციო ღირებულება
1	18253	კომპიუტერის მონიტორი "HP Compaq1530"	40
2	13079	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	80
3	15943	პრინტერი "Canon MF 3228"	50
4	15915	პრინტერი "HP L J 2420"	50
5	13957	კომპიუტერი "Ibm 2000"	50
6	13960	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	50
7	16968	კომპიუტერი "DELL 210L"	100
8	11208	კომპიუტერის მონიტორი "DELL 15"	50
9	14699	სვიჩი "Cisco 2950"	50
10	10402	კომპიუტერის მონიტორი "Dell 15"	50
11	15936	პრინტერი "HP LJ 2420"	50
12	13989	კომპიუტერი "Ibm 2400""	100
13	13961	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	50
14	17160	ნოუთბუქი "Ibm R 40"	100
15	20530	ნოუთბუქი "DELL D520"	150
16	14973	სერვერი "IBMx346"	150
17	14971	სერვერი "IBMx445"	150
18	15336	სვიჩი "სისკო 2950"	60
19	12013	სკანერი "Hp 2400"	40
20	15978	ნოუთბუქი "DELL D520"	100
21	10405	პრინტერი "Hp lj 1012"	50
22	10459	პრინტერი "Hp lj 1012"	50
23	13528	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	100
24	10504	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	100
25	12005	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	100
26	11248	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	100
27	12269	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	50
28	12006	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	50
29	14039	პრინტერი "Hp lj 1012"	60
30	11016	პრინტერი "Hp lj 1012"	60
31	14169	პრინტერი "Hp lj 1012"	60
32	14597	პრინტერი "Hp lj 1012"	60
33	11616	პრინტერი "Hp lj 1012"	60
34	11017	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	60
35	15712	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	100
36	17141	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Netgear"	50
37	13294	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	50
38	13476	კომპიუტერის მონიტორი "HP 1506"	60
39	14795	უწყვეტი კვების წყარო "MGE 1100"	30
40	11549	კომპიუტერი "Dell 210L"	120
41	14517	კომპიუტერი "Dell 210L"	120
42	21507	კომპიუტერი "Dell 210L"	120
43	10426	კომპიუტერი "Dell 210L"	120
44	11411	კომპიუტერი "Dell 210L"	120
45	13191	კომპიუტერი "Dell 210L"	120
46	14002	კომპიუტერი "Dell 210L"	120
47	12090	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	60
48	11421	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	60
49	10046	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	60
50	17792	ნოუთბუქი "Hp 6830 S"	150
51	13022	ნოუთბუქი "Dell D520"	150
52	10413	ნოუთბუქი"Dell D520"	150
53	16001	ნოუთბუქი "Dell D520"	150
54	11751	ნოუთბუქი"Dell D520"	150
55	11371	ნოუთბუქი "Dell D520"	150
56	20029	ნოუთბუქი"HP 530"	180
57	13942	ნოუთბუქი "Dell D520"	150
58	13181	პრინტერი "Hp lj 1020"	80
59	13818	პრინტერი "Hp lj 1020"	80
60	12446	პრინტერი "Hp lj 1020"	80
61	11088	პრინტერი "Hp lj 1020"	80
62	10337	პრინტერი "Hp lj 1020"	80
63	10525	პრინტერი "Hp lj 2420"	180
64	14817	პრინტერი "Hp lj 2420"	180
65	14572	პრინტერი "Hp lj 2420"	180
66	13026	პრინტერი "Hp lj 2420"	180
67	10815	პრინტერი "Hp lj 2420"	180
68	10595	პრინტერი "Hp lj 2420"	180
69	13831	კომპიუტერი "Dell 620"	180
70	13760	ნოუთბუქი "Dell D520"	350
71	21575	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	40
72	14065-13729	ნოუთბუქი "Hp 2710"-სადგურით	400
73	12906	პრინტერი "Hp lj 1012"	100
74	16991	სერვერი "IBM xserver 445"	450
75	12871-12872	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	300
76	17148	ნოუთბუქი "Samsung r710"	250
77	17193-16933	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	300
78	15977	ნოუთბუქი "Dell D520"	180
79	19546	პრინტერი "Hp lj p-1120"	80
80	21885	კომპიუტერი " HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
81	19540	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
82	19580	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
83	19524	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
84	19582	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
85	21841	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
86	21805	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
87	21776	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
88	19522	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
89	22746	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
90	19573	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
91	21795	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	200
92	22449	ნოუთბუქი"Hp 6930"	250
93	17542	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
94	17545	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
95	17590	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
96	17522	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
97	17529	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
98	17786	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
99	17532	კომპიუტერი "Hp dx 2400"	150
100	21212	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
101	19626	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
102	19625	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
103	17582	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
104	17599	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
105	17561	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
106	17581	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
107	17573	ნოუთბუქი"Hp 4510s"	250
108	17541	ნოუთბუქი "Hp 4510s"	250
109	17197	ნოუთბუქი "Hp 530"	150
110	17562	ნოუთბუქი "Hp 530"	150
111	17567	ნოუთბუქი "Hp 530"	150
112	17535	ნოუთბუქი"Hp 530"	150
113	18290	ნოუთბუქი "Hp 530"	150
114	17575	ნოუთბუქი "Hp 530"	150
115	17598	ნოუთბუქი "Hp 530"	150
116	17568	ნოუთბუქი "Hp 530"	150
117	17576	ნოუთბუქი "Hp 530"	150
118	17198	ნოუთბუქი "Hp 530"	150
119	17784	ნოუთბუქი "Hp 530"	150
120	17574	ნოუთბუქი "Hp 530"	150
121	18229	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s"	250
122	17570	ნოუთბუქი "Hp 530"	130
123	17602	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s "	300

124	21741	პრინტერი "HP L J 1120"	80
125	18326	საარქივო მონაცემების შემნახველი "Ibm ds 4700"	4000
126	15995	კომპიუტერი "HP Compaq DX6100"	180
127	20030	პრინტერი "HP Officejet 7000 Wide Format"	120
128	20013	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	350
129	20025	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	350
130	20020	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	350
131	20018	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	350
132	19576	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	180
133	1861	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	6000
134	1862	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	6000
135	1979	უწყვეტი კვების წყარო "APC SMART_UPS SC 450VA"	120
136	11615	ტელევიზორი "პანასონიკი"	100
137	13240	ტელევიზორი "Filipsi" დასადგამით	150
138	11768	ქსეროქსი "Canon PC 860"	80
139	15431	ტელევიზორი "Filipsi"	80
140	11821	ქსეროქსი "Canon ir 2020"	120
141	13550	ქსეროქსი "Canon lb mf 3228"	60
142	20050	ვირტუალიზაციის სერვერი "HP DL 180 G6"	350
143	213	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	50
144	221	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	50
145	231	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	50
146	232	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	50
147	237	კომპიუტერი "Ibm 2400"	100
148	248	კომპიუტერი "Ibm 2400"	100
149	261	კომპიუტერი "Ibm 2400"	100
150	272	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	50
151	273	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	50
152	357	ქსეროქსი "Canon pc 120"	80
153	464	სერვერი "HP Server ML 110"	150
154	612	სვიჩი "Cisco WS-C3550-24-SMI"	300
155	613	სვიჩი " Cisco WS-2950T-24"	100
156	803	კომპიუტერი "HP 2400 "	100
157	814	პრინტერი "HP 1150"	60
158	896	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	180
159	897	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	180
160	898	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 3405 "	150
161	1863	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	6000
162	1864	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	6000
163	15901, 16978, 16979	ვიდეო სათვალთვალო სისტემა (1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	810
164	27627	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	1215
165	27630, 27643 27642,15889	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა)	1620
166	15492	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	1215
167	27634, 27628	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა)	810
168	15493, 15662	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	1215
169	15491	ვიდეოკონტროლის აპარატურა (5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი)	1215
170	27629	ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 7 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M")	4860
171	18951	დაშვების ელექტრონული სისტემა (5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი)	12150
172	27641	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3")	1620
173	15490	ვიდეოკონტროლის სისტემა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	1215
174		დაშვების ელექტრონული სისტემა (1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი)	1620
175	15905	ვიდეო კონტროლის აპარატურა (ვიდეოჩამწერი "Panasonic")	162
176	27635, 27636 13233, 13230 13221, 13226 13227, 13225	ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი (5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W")	6480
177	27639	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R")	810
178	15806, 15907	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"; 1 ცალი გადამყვანი „Everplex“)	810
179	19034	მბრუნავი ვიდეო კამერა "Panasonic"	243
180	15659	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	162
181	15406	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	162
182	15889	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	243
183	18072-27640	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა)	3645
184	18073	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 5 ცალი "Dome" კამერა)	2835
185	27632	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა)	2835
186	27631	ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა)	810
187	27637	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა)	4050
188	27638	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა)	12150
		ჯამი	**115442**

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 დანართში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის N GE88№B0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 (ხუთი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

◎ თარიღი

სახელოვანი მამულიშვილი

პროფესორი ამირან კახიძე - 80

აჭარამ, საქართველოს ძირძველმა და წარმტაცმა კუთხემ, არაერთი დიდი მამულიშვილი აღუზარდა დედასამშობლოს. მათ შორის საპატიო ადგილი ცნობილ მეცნიერს, არქეოლოგ ამირან კახიძეს უკავია. სამაგალითოა მისი ცხოვრებისეული გზა. ის იწყება საზღვრისპირა სოფელ ზემო ჩხუტუნგიდან, მაჭახელას ულამაზესი ხეობიდან. მაჭახელა ისტორიულმა ბედუკუღმართობამ, ისევე როგორც საქართველო, ორად — ქართულ და თურქულ ნაწილად გახლიჩა, გააპო. ამის მიუხედავად „მაჭახელელებმა“, აქაც და იქაც შეინარჩუნეს ქართველობა, სიყვარული სამშობლო მიწისადმი.

1935 წლის 8 ივნისს იუსუფ კახიძის მრავალშვილიან ოჯახს შეემატა ვაჟიშვილი — ამირანი. სამწუხაროდ, ოჯახური ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა. ოჯახის უფროსი 1937 წელმა იმსხვერპლა. კაცი, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონია პოლიტიკასთან, „ტროცკისტობის“ ბრალდებით „გაასამართლეს“. მრავალშვილიანი ოჯახის ფეხზე დაყენების მთელი სიმძიმე ამირან კახიძის დედას, ქალბატონ მერიმე თავდგირიძეს დააწვა. სწორედ დედას, შრომისმოყვარე, გამრჯე ქალს უნდა უმადლოდეს პროფესორი ამირან კახიძე ყველა თავის წარმატებას ცხოვრებაში. ჩხუტუნგის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წლიდან, იგი სწავლას განაგრძობს აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. აქ ეზიარა პედაგოგის ურთულეს პროფესიას, რაც დიდად წაადგა შემდგომში. 1954-1959 წწ. იგი შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტია, ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტი. სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას, თავკაცობდა სამეცნიერო კონფერენციებს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ კუთხეში, სოფელ ქვედა ჩხუტუნგის (დღეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) საშუალო სკოლის მასწავლებელია, გატაცებით აგროვებს მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენების შესახებ. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა სამეცნიერო საზოგადოებისათვის. 1960 წელს იგი მოიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლაბორანტად. ნიშანდობლივია, რომ მთელი ქვეყნისათვის მეტად რთულ პერიოდში 2004-2005 წწ. იგი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ისტორიის კათედრის გამგეა. მანამდე 1961-1964 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტია. ასპირანტურის სრული კურსის გავლისას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ ანდრია აფაქიძე, რომელიც ხელს უწყობდა მის სამეცნიერო ზრდას. მან მიიღო სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება ფიჭვნარში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე იგი მიიღეს ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად.

1966 წლის იანვარში მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთ-ფიჭვნარი)“. ეს შრომა გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე. ამირან კახიძის გამოკვლევებს ქართულ ისტორიოგრაფიაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. სამეცნიერო აკადემიურმა საზოგადოებამ აღიარა მისი სამეცნიერო მიღწევები. დედაქალაქში კარიერული წინსვლა ელოდა, მაგრამ მან ამჯობინა, თავის კუთხეს დაბრუნებოდა და ეზრუნა არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლაზე. 1966 წლის ზაფხულიდან იგი ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1981 წლიდან — არქეოლოგიის განყოფილების გამგე. უნივერსიტეტის ჯერ დოცენტი და შემდგომ პროფესორი, 1994 წელს აჭარის ახლადდაფუძნებული არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორად დაინიშნა, ხელმძღვანელობს კომპლექსურ არქეოლოგიურ ექსპედიციებს გონიოში, ქობულეთ-ფიჭვნარში. მისი რედაქტორობით გამოიცა „გონიო-აფსაროსისადმი“ და „ფიჭვნარისადმი“ მიძღვნილი რამდენიმე ტომი. მნიშვნელოვანი, მასშტაბური საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა პეტრა-ციხისძირში, ბათუმის ციხეზე (თასარა), ჩაქვისწყალისა და აჭარისწყლის მხარეში. 1981 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ხანაში“. იგი არაერთხელ გამოსულა მოხსენებებით საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე (ინგლისი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, რუმინეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და სხვ.).

1998 წელს პროფ. ა. კახიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველო-დიდი ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური საერთაშორისო ექსპედიცია. 2011 წლამდე ჩატარდა ფიჭვნარის ნაქალაქარისა და მისი ნეკროპოლის, სამაროვნების ფართო მასშტაბის კვლევა. 13 სეზონის განმავლობაში ქართველ კოლეგებთან მხარდამხარ შრომობდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ბერძნულ-რომაული სიძველეების დეპარტამენტის სპეციალისტები პროფ. მაილ კიკერსის ხელმძღვანელობით. გამოქვეყნდა არაერთი სამეცნიერო ანგარიში და მონოგრაფიული ხასიათის შრომები, ქართულ და ინგლისურ ენებზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები ფიჭვნარი I (თბილისი, ლონდონი, 2004), ფიჭვნარი II (2007 წ.), ფიჭვნარი III (2010 წ.) და ფიჭვნარი IV (2009 წ.), ფიჭვნარი V-VI (2014 წ.).

ამირან კახიძეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ დავით ხახუტაშვილთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის სამხრეთდასავლეთ საქართველოს (აჭარა) ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის გამოცემაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩოლოქ-ნატანების აკვატორიუმში მიკვლეული გვიან ელინისტური ხანის ჩაძირული გემის ნაშთების გამოვლენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. მან გამოავლინა სოფელ მარადიდის შემოგარენში ძველი კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერები. იგი ავტორია 200-მდე სამეცნიერო სტატიის და მონოგრაფიებისა ქართულ და უცხოურ ენებზე. პროფ. ა. კახიძის ხელმძღვანელობით აღიზარდა სპეციალისტ-არქეოლოგთა არაერთი თაობა, რომელთა თვალსაწიერშია ისტორიული საქართველოს, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის არქეოლოგიური ძეგლები. ოცი წელია, იუბილარი სათავეში უდგას რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურის კერას — ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს. სათანადო, თანამედროვე სტანდარტების ფონზეა გამართული ნათელი საექსპოზიციო დარბაზები, მოწყობილია სარესტავრაციო და სხვა ლაბორატორია-სახელოსნოები, გამოდის გზამკვლევები და მუზეუმის სამეცნიერო შრომების კრებულები.

ამირან კახიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის აბუსერიძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატი. ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და ოთხი შვილიშვილი. 80 წლის იუბილარი კვლავ ჭაბუკური ენერგიით იღვწის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უსურვებს ამირან კახიძეს ჯანმრთელობასა და ახალ მიღწევებს მეცნიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

◎ ეკონომიკა

ინდუსტრიული ზონების ახალი ბუმი

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ახალი ბუმი დაიწყო. მართალია, წინა თიზ-ებმა ვერ გაამართლა, მაგრამ ეს გაკვეთილი ვერ აღმოჩნდა ვერც მთავრობისთვის და ვერც ინვესტორთათვის. ამჯერად აქცენტი დასავლეთ საქართველოზე კეთდება. ჩინელები ქუთაისში დამკვიდრდნენ, ხოლო ქართულ-უცხოურ საინვესტიციო ჯგუფს მიზანში გონიო აქვს ამოღებული.

აჭარაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობას ბევრი არ დააგვიანდება. პროექტი „შავი ზღვის მარგალიტს“ მოიცავს და ის, სავარაუდოდ, გონიოში 300 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განთავსდება. იდეის ავტორი ქართული „ჯორჯიან ბელარუს ბიზნეს ჯგუფია“, რომელმაც პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნის ინვესტორთა ჯგუფი გაერთიანა.

პროექტის ავტორის არჩილ დოლიძის განცხადებით, პროექტში ჩართულია რამდენიმე ფინანსური ჯგუფი, მათ შორის, ჩეხური „ჩესტერი“, საპროექტო კომპანია „ტაჯიტერი“, ჩეხური კომპანია „ტატრა“, ამერიკული „გლობალ ენერჯი“ და ინვესტორები ისრაელიდან და კანადიდან. პროექტს მხარდაჭერას უცხადებს როგორც აჭარის, ისე ცენტრალური მთავრობა, რომელთანაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსის მინიჭებაზე, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება.

ინდუსტრიული ზონა სამ ფორმატად იქნება დაყოფილი. პირველი ბიზნეს-ობიექტების განთავსებას გულისხმობს, რისთვისაც დაახლოებით 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთია გათვალისწინებული. ბიზნეს-ზონა საფონდო ბირჟას, სალიზინგო კომპანიებს და ბიზნეს-სუბიექტებს გააერთიანებს. მეორე ნაწილი ტურისტულ ზონას მოიაზრებს, სადაც მაღალი კლასის სასტუმროები განთავსდება. მესამე კი ვირტუალურ ზონას გააერთიანებს, სადაც IT სფეროს ლაბორატორიები განთავსდება.

ამ ეტაპზე კომპანიას მიღებული აქვს ნებართვა, პირველადი სამუშაოები ჩაატაროს. პირველადი სამუშაოები კი დაგეგმარებას, მდინარე ჭოროხის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესწავლას და გეოდეზიურ მონიტორინგს გულისხმობს.

„მიწის გადმოცემა და სტატუსის მინიჭება გრძელვადიანი პროცესია. ჩვენი მხრიდან ჩასატარებელია რიგი სამუშაოები, რომლის შემდგომაც მოხდება სტატუსის მინიჭება, შემდგომ კი მიწის გადმოცემა. ჩვენ მხარდაჭერა გვაქვს როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან, ასევე აჭარის ხელისუფლებისგან“, — აცხადებს დოლიძე.

ვირტუალურ ზონაში, დოლიძის განცხადებით, იგეგმება კომპანია IBM-ის შემოყვანა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები IBM-ის უკრაინულ და რუსულ ოფისებთან. ვირტუალურ ზონაში, სავარაუდოდ, 4000-მდე ახალგაზრდა იქნება დასაქმებული, სადაც ისინი ტექნოლოგიურ სფეროში გადამზადდებიან.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ კი ჩინელებმა ინდუსტრიული ზონა ქუთაისში შექმნეს. საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და „ჰუალინგ ჯგუფის“ კომპანია შპს „GEORGIAN HUASHUN INTERNATION INDUSTIAL INVESTMENT GROUP LTD“—ის დირექტორმა შაო სიაო ძინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ“.

ეკონომკის სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისის ჰუალინგის თიზ-ი საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეიქმნა და მისი ფუნქციონირების ვადად 30 წელი განისაზღვრა.

ინდუსტრიული ზონა საქმიანობას დაიწყებს ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მისთვის გამოყოფილ 359251.00 კვ/მ ტერიტორიაზე. მუდმივად დასაქმებულთა არანაკლებ 75% იქნება საქართველოს მოქალაქე.

„ეს ხელშეკრულება პირდაპირ პასუხობს იმ სულისკვეთებას, რაც არსებობს საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაფართოებისა და განვითარების კუთხით. ძალიან მოხარულნი ვართ, რომ კომპანია, რომელიც შარშან, მესამე კვარტლის მონაცემებით, იყო ყველაზე მსხვილი ინვესტორი საქართველოში, კვლავაც განაგრძობს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას. რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა მზად არის, ყველანაირად შეუწყოს ხელი ამ სულისკვეთებას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების მიხედვით, „ჰუალინგ ჯგუფი“ თიზ-ის შესაქმნელად 40 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ბექა დანელია

◎ კალათბურთი

წინ კიდევ ერთი გაცხრილვაა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2015 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს. ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე 18-კაციანი, გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, საიდანაც მოსამზადებელ პერიოდში იმ 12 კალათბურთელს შეარჩევს, რომლითაც საქართველოს ნაკრები ხორვატეთში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

საქართველოს ეროვნული ნაკრები შეკრებას 13 ივლისს, ტრადიციულად თბილისში, ფიზმომზადებით დაიწყებს. 24 ივლისიდან კი სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში გენერალურ შეკრებაზე გადავა, სადაც თავს ნაკრების სრული შემადგენლობა მოიყრის. საქართველოს ნაკრები სლოვენიაში 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს ბოსნიის ნაკრებთან, მთლიანობაში კი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში 10 სპარინგ მატჩს ჩაატარებს თბილისური, ფრანგული და იტალიური ტურნირების ფარგლებში.

გაფართოებული შემადგენლობა სლოვენიის შეკრებისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის პერიოდში გამოიცდება და შეირჩევა ის კალათბურთელები, რომლებიც საფრანგეთსა და იტალიაში, ამხანაგურ ტურნირებზე, შემდეგ კი ხორვატეთში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში მასპინძელ ხორვატეთთან, საბერძნეთთან, მაკედონიასთან, სლოვენიასთან და ჰოლანდიასთან მოხვდა. ჯგუფიდან პლეი ოფში 4 საუკეთესო ნაკრები გავა. მომდევნო ეტაპზე გასული 16 გუნდი თავს საფრანგეთის ქალაქ ლილში მოიყრის, სადაც 13 სექტემბრიდან ევრობასკეტის მერვედფინალები დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

საქართველოს ნაკრების კალენდარი ევროპის ჩემპიონატზე თბ. დრო

•	5 სექტემბერი	საქართველო – ჰოლანდია	17:00
•	6 სექტემბერი	სლოვენია – საქართველო	20:00
•	8 სექტემბერი	საქართველო – საბერძნეთი	20:00
•	9 სექტემბერი	მაკედონია – საქართველო	20:00
•	10 სექტემბერი	საქართველო – ხორვატეთი	20:00

ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჯგუფების მიხედვით

ჯგუფი A (მონპელიე) საფრანგეთი	ჯგუფი B (ბერლინი) გერმანია	ჯგუფი C (ზაგრები) ხორვატეთი	ჯგუფი D (რიგა) ლატვია
საფრანგეთი	ესპანეთი	ხორვატეთი	ლიტვა
ფინეთი	სერბეთი	სლოვენია	უკრაინა
ბოსნია-ჰერცეგოვინა	თურქეთი	საბერძნეთი	ლატვია
პოლონეთი	იტალია	მაკედონია	ბელგია
ისრაელი	გერმანია	საქართველო	ჩეხეთი
რუსეთი	ისლანდია	ჰოლანდია	ესტონეთი

საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა

გიორგი ცინცაძე	გამთამაშებელი (1)	193	შსს-აკადემია
ჯეიკობ პულენი	გამთამაშებელი (1)	189	ბრინდიზი, იტალია
ოთარ ფხაკაძე	გამთამაშებელი (1)	188	ლანგსტონი, აშშ, NCAA
ბექა წივწივაძე	გამთამაშებელი (1)	190	შსს-აკადემია
მანუჩარ მარკოიშვილი	მსროლელი (2)	196	ცსკა მოსკოვი, რუსეთი
დუდა სანაძე	მსროლელი (2)	196	საწ დიეგო, აშშ, NCAA
ნოდარ გოგოძე	მსროლელი (2)	190	ოლიმპი
ბესო ლეჟავა	მსროლელი (2)	193	დინამო
მიხეილ ჭოჭუა	მსროლელი (2-3)	193	რუსთავი
ლევან ფაცაცია	მსროლელი (2-3)	200	ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი
ვიქტორ სანიკიძე	ფორვარდი (3-4)	204	უნიქსი, რუსეთი
გიგა ჯანელიძე	ფორვარდი (3-4)	201	როზეტო, იტალია(III ლიგა)
თორნიკე შენგელია	ფორვარდი (4)	207	ლაბორალ კუჩა, ესპანეთი
ბექა ბურჯანაძე	ფორვარდი (4)	203	კორუნა, ესპანეთი (II ლიგა)
ნიკა მეტრეველი	ფორვარდი (4)	211	შსს-აკადემია
ზაზა ფაჩულია	ცენტრი (5)	211	მილუოკი ბაქსი, აშშ, NBA
გიორგი შერმადინი	ცენტრი (5)	215	კანტუ, იტალია
გიორგი შარაბიძე	ცენტრი (5)	210	შსს-აკადემია

სამწვრთნელო შტაბი

იგორ კოკოშკოვი	მთავარი მწვრთნელი
დავით უსტიაშვილი	მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
კოტე ტუღუში	მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
ჯეისონ სტოოდტი	მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

◎ კარატე

სიტყვის კაცი



წლევანდელი სეზონის სასტარტო ტურნირების შესახებ საუბრისას საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი მზეჭაბუკ მახარაძე შეგვპირდა, რომ ოქროც მალე იქნებოდა – წინ ხომ მთელი რიგი პრესტიჟული შეჯიბრებები იყო.

გავიდა რამდენიმე თვე და ჩვენი ძველი ნაცნობი რედაქციაში სახეგაბრწყინებული გვეწვია – პირობა არამარტო მე, არამედ ჩემმა შეგირდებმაც შევასრულეთო. ვიდრე მათ შთამბეჭდავ მონაგარს გაგაცნობთ, დამსახურებული დითირამბები უნდა ვუძღვნათ ქუთაისელ მწვრთნელ-ინსტრუქტორის ირაკლი კეზევაძის აღზრდილს თამაზ გოჩელაშვილს, რომელმაც თურქეთში გამართულ მსოფლიო თასზე 16-17-წლიანთა შორის ერთბაშად 3(!) ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ კატაში და ორი – ინდივიდუალურ კუმიტეში (-68 და – 75 კგ).

ახლა კი, მოდით, შეპირებულ ნადავლს გადავხედოთ (ქრონოლოგიურად).

მარტი. ლოძი (პოლონეთი). XII მსოფლიო თასი. უფროსები. ინდივიდუალური კატა. **მზეჭაბუკ მახარაძე** – III ადგილი.

აპრილი. მოსკოვი (რუსეთი). საერთაშორისო ტურნირი. უფროსები. ინდივიდუალური კატა. **მზეჭაბუკ მახარაძე** – III ადგილი.

აპრილი. ქუთაისი. XXII ეროვნული ჩემპიონატი. 10-11-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. – 40 კგ. ასპარეზობის დებიუტანტი **ბექა ბერიაშვილი** – I ადგილი.

მაისი. პრაღის (ჩეხეთი) ღია ჩემპიონატი. უფროსები. ინდივიდუალური კატა. **მზეჭაბუკ მახარაძე** – I ადგილი. 14-15-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. – 60 კგ. **თენგიზ მაზმიშვილი** II ადგილი.10-11-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. – 35 კგ. **ანდრია კარბაია** – III ადგილი.

მაისი. სტამბოლი (თურქეთი). მსოფლიო თასი. უფროსები. ინდივიდუალური კუმიტე. -84 კგ. **გიორგი კახიაშვილი** – I ადგილი. უფროსები. ინდივიდუალური კუმიტე. +84 კგ. **გიორგი კახიაშვილი** – III ადგილი. უფროსები. ინდივიდუალური კუმიტე. აბსოლუტური წონა. **მზეჭაბუკ მახარაძე** – II ადგილი. უფროსები. ინდივიდუალური კატა. **მზეჭაბუკ მახარაძე** – III ადგილი.

ივნისი. თბილისი. კავკასიის II ღია ჩემპიონატი. 6-7-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. **ცოტნე ხარებავა** – I ადგილი. 8-9 წლიანები. ინდივიდუალური კატა. **უჩა ბექაური** – I ადგილი. 10-11-წლიანები. ინდივიდუალური კატა. **ანდრია კარბაია** – I ადგილი. 8-9-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. – 35 კგ. **გიორგი ტონია** – I ადგილი. 8-9 წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. +35 კგ. **გიგი გველესიანი** – I ადგილი. 12-13-წლიანები. ინდივიდუალური კუმიტე. – 45 კგ. **ირაკლი ხოჭავა** – I ადგილი.

მალე მზეჭაბუკ მახარაძე და მისი რაზმი საწვრთნელ შეკრებაზე ბაზალეთში გაემგზავრება, ხოლო აგვისტოში ისინი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ტოკიოში გასამართ მსოფლიოს XII ჩემპიონატში დაიცავენ.

კოგა კოგახიძე

◎ ჩოგბურთი

პირველად - დიდ სლემზე

23 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი (რეიტინგით – 153-ე) წარმატებით თამაშობს უიმბლდონის ტურნირში. **საკვალიფიკაციო ეტაპზე მან სამ მეტოქეს სძლია და ძირითადი ბადის პირველ რაუნდში 25 წლის არგენტინელ ფაკუნდო ბაგნისს (137-ე) დაუპირისპირდა.** ბასილაშვილმა სამივე სეტი მოიგო – 6:4, 7:6, 6:2 და დიდი სლემის ძირითად ბადეში პირველი გამარჯვება მოიპოვა, 45 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა და მეორე წრეში გავიდა, სადაც ტურნირზე მე-15 ნომრად განთესილ 33 წლის ესპანელ ფელისიანო ლოპესს (რეიტინგით მე-16) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ბელგიელ სტივ დარსისს (მე-80) აჯობა – 6:2, 7:6, 6:4.

* * *

სტამბოლის 10.000-იან ტურნირში თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში ბოლივიელ ფედერიკო ზებალოსს მოუგო – 6:2, 6:3. მეტრეველი წყვილებში ყაზახ ტიმურ ხაბიბულინთან ერთად ასპარეზობს. სტარტზე მათ მასპინძლების – მერთ ადანალისა და დურუქან დურმუსის ტანდემი დაამარცხეს – 6:3, 6:3 და მეოთხედფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტ იანიკ იანკოვიცისა და ჰუგო ნისის (ორივე – საფრანგეთი) ტანდემთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ლაშა დიდია

სურათზე: ნიკოლოზ ბასილაშვილი.

◎ მხატვრული ტანვარჯიში

სტამბოლსა და წახკაძორში

ქართველმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა წარმატებით იასპარეზეს სტამბოლისა და წახკაძორის საერთაშორისო ტურნირებში. თურქეთში თბილისელმა სალომე ურუშაძემ (მწვრთნელი ინგა კიკვაძე) იყოჩაღა – მრავალჭიდში 64.250 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. 67.500 ქულით პირველ ადგილზე მასპინძელი ეკატერინა ჩუკალინა გავიდა.

წახკაძორის „სომხურ ყვავილებში“ ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის A ჯგუფში ნატალია თაბაგარმა 57.1 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ქართველ ტანმოვარჯიშეს ელენ შახნაზარიანმა (სომხეთი, 60.250) და ბახორა ადხამოვამ (უზბეკეთი, 57.750) აჯობეს. B **ჯგუფში გამოდიოდა ანა ჯაბანაშვილი, რომლისთვისაც წახკაძორის ტურნირი საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი იყო. 43.950 ქულით იგი მე-2 ადგილზე გავიდა. 48.5 ქულით პირველობა არავის დაუთმო ლიდია ნაზარიანმა (სომხეთი).**

12-წლიანებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. შეჰერეზადა კაიუმოვა (უზბეკეთი, 56.85) და დინა არენბასაროვა (ყაზახეთი, 56.85), 2. ალვარდ კარახანიანი (სომხეთი, 52.1), 3. სალომე ოქროპირიძე (51.05), 4. ანა ჭყოიძე (49.65). ამ უკანასკნელს სპეციალური პრიზი („მწვრთნელის იმედი“) ხვდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ივნისის შედეგებით

ფიდე ყოველი თვის დასაწყისში მოჭადრაკე ქალვაჟთა განახლებულ რეიტინგებს აქვეყნებს. ამჯერად ივნისის შედეგებით გაჯერებული მაჩვენებლები შემოგვთავაზა: ქალთა პირველ ათეულს 2676 პუნქტით ჩინელი მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი უდგას სათავეში. მომდევნო ადგილებზე მოდიან: იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2675), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2589), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2573), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2550), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2549), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2548), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2528). ქალთა პირველ ასეულში ჩვენებურთაგან კიდევ რვა დიდოსტატია: 12. ბელა ხოტენაშვილი (2521), 17. ნინო ბაციაშვილი (2499), 35. ლელა ჯავახიშვილი (2463), 38. სალომე მელია (2456), 54. ნინო ხურციძე (2423), 69. მერი არაბიძე (2403), 95. სოფიკო გურამიშვილი (2370), 98. მაია ლომინეიშვილი (2369).

ვაჟთა საუკეთესო ათეული: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2853), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2816), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2816), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2814), ფაბიანო კარუანა (იტალია 2797), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2791), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), სოუ ვესლი (აშშ, 2780), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი 2771), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2765). ბაადურ ჯობავას 2693 პუნქტით 52-ე ადგილი უკავია.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ჭაბლო

კოპა ამერიკა. ნახევარფინალი.

ჩილე – პერუ 2:1 (ვარგასი – 2; მედელი – საკუთარ კარში). არგენტინა – პარაგვაი 6:1 (და მარია – 2, როხო, პასტორე, აგუერო, იგუანი; ბარიოსი). ლეო მესიმ სამი(!) საგოლე გადაცემა შეასრულა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. აშშ – გერმანია 2:0.

21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. შვედეთი – პორტუგალია 0:0 (პენალტებით 4:3).

გიორგი შოთაძე

მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: თამაზ ცინცაძე, რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს და უბადლო დასტაქარს, საქართველოს სამედიცინო აკადემიის წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბონდო ქობულიას. უსურვებენ მტკიცე ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთელი გულით ულოცავს დაბადების დღეს მრავალთა გულის გადამრჩენელს, დიდ პროფესიონალს, პროფესორ ბონდო ქობულიას.

◎ როგორ ფიქრობენ მდიდრები

რჩევები მილიარდერ სტივ სიბოლდისგან

„საშუალო სტატისტიკური ადამიანი ფიქრობს, რომ მდიდარი ადამიანი ან იღბლიანია ან ბოროტმოქმედი.

უზრუნველყოფილებმა კი იციან, რომ სიმდიდრე, შესაძლოა, ბედნიერების გარანტი არ არის, მაგრამ ცხოვრებას გაცილებით იოლსა და სასიამოვნოს ხდის“, — წერს ცნობილი ამერიკელი ბიზნესფსიქოლოგი და წიგნის „როგორ ფიქრობენ მდიდრები“ ავტორი, მილიარდერი სტივ სიბოლდი.

გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერი“ სტივ სიბოლდის რჩევებს ავრცელებს, თუ როგორ იშოვოთ მილიარდი თავად. გამოცემის ცნობით, სტივ სიბოლდი სწორედ იმ მილიარდერთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ქონება თავად იშოვა.

1. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერს შეუძლია იმდენი ფული იშოვოს, რამდენის შოვნაც სურს.

2. არც თქვენი ბეგრაუნდი, არც თქვენი უმაღლესი განათლება და არც IQ არაფერს ნიშნავს, როცა საქმე ფულის შოვნას ეხება.

3. ფულის შოვნის ყველაზე სწრაფი გზა პრობლემის გადაჭრაა. რაც უფრო დიდ პრობლემას გადაჭრით, მით მეტ ფულს იშოვნით.

4. ნუ დაუგდებთ ყურს ადამიანებს, რომლებიც ჩაგჩიჩინებენ, რომ ცხოვრება დიდი ბრძოლაა და კმაყოფილი უნდა იყოთ იმით, რაც გაქვთ.

5. ყოველთვის დაარწმუნეთ საკუთარი თავი, რომ თქვენ შეგიძლიათ დიდი ფულის შოვნა — არა 100, 500 ათასის, არამედ მილიონი დოლარის. რატომაც არა?

6. სიმდიდრე პრივილეგია არ არის. სიმდიდრე ეს ცხოვრების სწორი წესია.

7. ნუ დაელოდებით, რომ ნაპირზე ხომალდი მხოლოდ თქვენთვის მოვა. თქვენ ვერასოდეს გადარჩებით ან გამდიდრდებით გარე ძალების დახმარებით. თუ ბევრი ფული გინდათ, თავად ააგეთ ხომალდი. არავინ მოვა თქვენს გადასარჩენად.

8. შეწყვიტეთ წუწუნი იმის გამო, რომ ფული აღარ გაქვთ. ნაცვლად ამისა, იფიქრეთ იმაზე, როგორ იშოვოთ კიდევ უფრო მეტი ფული. ფულის გამო მუდმივი წუწუნი სიკეთეს არ მოგიტანთ. ჯობს ამის მაგივრად ფულზე ოცნება გააგრძელოთ.

9. შეწყვიტეთ საკუთარი თავისთვის იმის მტკიცება, რომ გამდიდრება თქვენს ხელში არ არის. სინამდვილეში ფულის შოვნა თქვენი საქმეა.

10. იყავით ორიენტირებული მომავალზე. მილიონერები, რომლებმაც ნულიდან დაიწყეს, იმიტომ გახდნენ წარმატებულნი, რომ წინ იყურებოდნენ. ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ აეხდინათ ოცნებები. ის კი, ვინც ფიქრობს, რომ საუკეთესო ცხოვრება წარსულში დარჩა, ძალიან იშვიათად აღწევს რამეს, ვინაიდან ხშირად იტანჯება დეპრესიით.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ტიპი მერსედესით 100 კმ. სიჩქარით მიჰქრის ტრასაზე. იყურება უკანა ხედვის სარკეში და ხედავს, რომ პატრულის მანქანა მოსდევს და, გაჩერდიო, ანიშნებს. ტიპმა იფიქრა, ჩემი მანქანა ახალია, ეს რას დამეწევა, გავექცევიო და სიჩქარეს მიუმატა: 150, 200, 250 კმ. საათში. არც პატრულის მანქანა გამოდგა ჯაბანი.

გაჩერდა ტიპი. პატრულის მანქანიდან გადმოდის პოლკოვნიკი, რომელიც რამდენიმე დღეში პენსიაზე უნდა გავიდეს, და ტიპს ეუბნება:

— თუ სიმართლეს მეტყვი, რატომ გარბოდი, გაგიშვებ.

— ამ ერთი კვირის წინათ ჩემი ცოლი თქვენს თანამშრომელს გაჰყვა. თქვენი მანქანა რომ დავინახე, ვიფიქრე, იგი მომდევდა, რათა ცოლი დაებრუნებინა.

* * *

ახალმა რუსმა მეგობარი სახლში მიიწვია. იგი დადის, ყველაფერს აკვირდება და ამბობს:

— განსაკუთრებული არაფერია, ჩვეულებრივი სამოთახიანი ბინაა, მხოლოდ რემონტია მაგარი და ავეჯიც ძვირფასია.

ახალმა რუსმა მხარზე ხელი შეოუტყაპუნა:

— ეს მხოლოდ ლიფტია, ძმაო!

* * *

— **მიხო**, რატომ დაარტყი შენს დას სკამი? — ეკითხება დედა.

— იმიტომ, რომ კომოდი ვერ ავწიე.

* * *

მთელი საბჭოთა კავშირი დასცინოდა ვოვოჩკას. ვოვოჩკა გაიზარდა და პრეზიდენტი გახდა! და ახლა თავად დასცინის მთელ ქვეყანას!

* * *

მიმდინარეობს გაყრის პროცესი.

— მოვითხოვ გაყრას, რადგან ჩემმა ქმარმა შეკრიბა თუ რაიმე ტაფა და ქვაბი იყო, გაყიდა და არაყში ჩაიხრჩო!

— მეც მოვითხოვ გაყრას, — ამბობს ქმარი, — მან მხოლოდ მეთექვსმეტე დღეს შეამჩნია ეს.

* * *

— **ძალბატონო** თქვენს ბავშვს ვერ მივიღებთ, რადგან ჩვენს საბავშვო ბაღში მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს ვღებულობთ, — ეუბნება ბაღის გამგე ბავშვის დედას.

— როგორ თუ ვერ მიიღებთ, იგი უცნობი ჯარისკაცის შვილია!

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

განცხადება

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ფარმაციის ფაკულტეტზე:

პროფესორი — 2 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი— 10 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი — 2 ვაკანსია

პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე; თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ აკადემიური თანამდებობის მაძიებლის ანკეტა (CV-შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით);
2. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი;
3. შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა სია (ბოლო 10 წლის განმავლობაში);
5. პირადობის მოწმობის ასლი;
6. 2 ფოტოსურათი;

კონკურსი ცხადდება 2 ივლისს;
საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 3 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით (ყოველდღე გარდა კვირისა — 10.00 სთ. 17.00სთ.);
საბუთების გადარჩევის ეტაპი — 17-18 აგვისტო;
წინასწარი შედეგების გამოცხადება 19 აგვისტო;
სააპელაციო განცხადებების მიღება 20-22 აგვისტო;
კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება 25 აგვისტოს;
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი თბილისი, 0179, სვანიძის 8
ტელ +995 032 2293492
595 74 40 14
599 18 85 75
E-mail: medicina@hippocrates.edu.ge
natalia.garuchava@gmail.com
www. hippocrates.edu.ge

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24